ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 270 (20616) — ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ, 24 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 1989 ᲬᲔᲚᲘ. — ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲖᲔᲜᲐᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ

ᲓᲔᲙᲚᲐᲠᲐᲪᲘᲐ

ᲘᲫᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲠᲔᲕᲠᲘᲖᲘᲣᲚᲘ ᲐᲥᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲣᲙᲐᲜᲝᲜᲝᲓ ᲓᲐ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲐᲓ ᲪᲜᲝᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲓᲦᲔᲡ, საბჭოთა საზოგადოების რევოლუციური განახლების პერიოდში, როცა დაწყებულია დემოკრატიზაციის, ჰუმანიზმის ზოგადსაკაცობრიო პრინციპების დეფორმაციებისა და დამახინჯებებისაგან ჩვენი ცხოვრების ყველა მხარის გაწმენდის პროცესი, ქვეყანაში ძლიერდება მისწრაფება — ვიცოდეთ მთელი სიმართლე წარსულის შესახებ, რათა გამოგვადგეს მისი გაკვეთილები სამომავლოდ.

მეხსიერება განსაკუთრებული სინანულით გვახსენებს სტალინურ რეპრესიათა ტრაგიკულ წლებს. უკანონობასა და თვითნებობას გვერდი არ აუვლია არც ერთი რესპუბლიკისათვის, არც ერთი ხალხისათვის. წარსულში მომხდარი მასობრივი დაპატიმრებანი, ბანაკებში ტანჯვა-წამება, გადასახლებულთა ზონებში გაუბედურებული ქალები, მოხუცები და ბავშვები კვლავ უხმობენ ჩვენს სინდისს, შეურაცხყოფენ ზნეობრივ გრძნობას. ამის დავიწყება არ შეიძლება.

სტალინური რეჟიმის ბარბაროსული აქციები იყო მეორე მსოფლიო ომის წლებში მშობლიური ადგილებიდან ბალყარელების, ინგუშების, ყალმუხების, ყარაჩაელების, ყირიმელი თათრების, გერმანელების, მესხეთელი თურქების, ჩეჩნების გასახლება. იძულებითი გადასახლების პოლიტიკამ გავლენა მოახდინა კორეელების, ბერძნების, ქურთებისა და სხვა ხალხების ბედ-იღბალზე.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭო უყოყმანოდ გმობს მთელი ხალხების იძულებითი გადასახლების პრაქტიკას, როგორც უმძიმეს დანაშაულს, რომელიც ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის საფუძვლებს, სოციალისტური წყობილების ჰუმანისტურ ბუნებას.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უზენაესი საბჭო გარანტიას იძლევა, რომ ჩვენს ქვეყანაში აღარასოდეს აღარ გაითელება სახელმწიფო დონეზე ადამიანის უფლებებისა და ჰუმანურობის ნორმები.

სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს საჭიროდ მიაჩნია განხორციელდეს შესაბამისი საკანონმდებლო ღონისძიებანი იმ ყველა საბჭოთა ხალხის უფლებათა უთუო აღდგენისათვის, რომლებმაც რეპრესიები განიცადეს.

სსრ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲖᲔᲜᲐᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝ

მოსკოვი, კრემლი, 1989 წლის 14 ნოემბერი.

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲡᲙᲙᲕ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

22 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტების მდივნები, რომლებიც განაგებენ აგროსამრეწველო კომპლექსის საკითხებს. აქედან ისინი ქალაქ მოსკოვში იმყოფებიან სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიაში კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე.

მოეწყო აზრთა გულახდილი ცხოველი გაზიარება თანამედროვე აგრარული პოლიტიკის, სოფლად ახალი ეკონომიკური ურთიერთობის ათვისების, ქვეყნის სასურსათო კომპლექსის განვითარების ამოცანების საკადრო, ორგანიზაციული და სარესურსო უზრუნველყოფის საკითხებზე. დამსწრეთა აზრები გაუზიარეს სკკპ როსტოვის საოლქო კომიტეტის მდივანმა ვ. მ. გუბსკიმ, ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ა. ს. კამარიმ, სკკპ ზღვისპირეთის სამხარეო კომიტეტის მდივანმა ვ. ვ. ზორინმა, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ი. გ. გრინცევმა, სკკპ ალტაის სამხარეო კომიტეტის მდივანმა გ. ა. სიეჩენკომ, სკკპ მურმანსკის საოლქო კომიტეტის მდივანმა ე. ბ. კომაროვმა, სკკპ კრასნოდარის სამხარეო კომიტეტის მდივანმა ვ. პ. ბრაჟნიკმა, ყაზახეთის კომპარტიის ჯამბულის საოლქო კომიტეტის მდივანმა ვ. თ ჩერნოვმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებმა ი. ს. სილაევმა და პ. ი. მოსტოვოიმ.

დასასრულ გამოვიდა მ. ს. გორბაჩოვი.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ ი. კ. ლიგაჩოვი, ე. ს. სტროევი და გ. ი. უსპენსკი. (ᲢᲐᲡᲙᲡᲘᲜ).

ᲕᲘᲖᲘᲢᲘ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ კავშირისა და კანადის საგაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობის ახალი იმპულსი მიეცა: 22 ნოემბერს მოსკოვში ხელი მოაწერეს დამფუძნებელ დოკუმენტს კანადა-საბჭოთა კავშირის საქმიანი საბჭოს შექმნის შესახებ. ცერემონიალში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ი. რიჟკოვი და კანადის პრემიერ-მინისტრი ბ. მალრუნი. მთავრობათა მეთაურების გამოსვლებში ამის თაობაზე ხაზგასმით აღინიშნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ არასამთავრობო ორგანიზაციის შექმნას, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს სსრ კავშირისა და კანადის საქმიანი თანამშრომლობის და ვაჭრობის გაფართოებას, იურიდიული კონტაქტების განვითარებას, უნდა დაეხმაროს ორივე ქვეყნის საქმიან წრეებს კომერციული ინფორმაციის შეგროვებაში, სემინარებისა და გამოფენების მოწყობაში, წამოჭრილი პრობლემების გადაჭრაში.

ამავე დღეს გაიმართა ბ. მალრუნის შეხვედრა საბჭოთა კავშირისა და კანადის საქმიანი წრეების წარმომადგენლებთან. იგი დაესწრო წითელ მოედანზე საბჭოთა კავშირ-კანადის შეჯიბრების „სპორტი ყველასათვის“ მეორე ეტაპის გახსნას.

• • •

საღამოს კანადის პრემიერ-მინისტრმ მოსკოვიდან კიევს გაემგზავრა.

აეროდრომზე სტუმარი და მისი მეუღლე გააცილეს ნ. ი. რიჟკოვმა და მისმა მეუღლემ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. ა. შევარდნაძემ და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

(ᲢᲐᲡᲙᲡᲘᲜ).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲖᲔᲜᲐᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲒᲠᲫᲐᲜᲒᲖᲚᲔᲑᲐ

ᲐᲛᲮ. Ვ. Ი. ᲐᲚᲐᲕᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠ-ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲝᲛᲐᲠᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲓ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს ამხ. ვილენ ისიდორეს ძე ალავიძე საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ᲒᲣᲛᲑᲐᲠᲘᲫᲔ,
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ვ. ᲙᲕᲐᲠᲐᲪᲮᲔᲚᲘᲐ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, 1989 წლის 22 ნოემბერი.

• • •

ᲐᲛᲮ. ვ. ი. ალავიძე დაბადებულია 1937 წელს, ქართველია, სკკპ წევრია 1963 წლიდან, აქვს უმაღლესი განათლება — დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.

შრომითი საქმიანობა ვ. ი. ალავიძემ დაიწყო 1960 წელს. მუშაობდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სახელმწიფო სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს ინჟინერ-კონსტრუქტორად, უფროს ინჟინრად. 1963 წლიდან თბილისის კომკავშირის ოქტომბრის რაიკომის პირველი მდივანი, თბილისის კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მდივანი, მეორე მდივანი, შემდეგ პირველი მდივანი. 1972 წლიდან მუშაობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ინსპექტორად, თბილისის პარტიის ლენინის რაიკომის პირველ მდივნად, 1975 წლიდან— სკკპ ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორად.

1979 წელს იგი აირჩიეს საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივნად. შემდეგ, 1985 წლიდან ვ. ი. ალავიძე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგეა.

1986 წლიდან საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანია, 1988 წლიდან უკანასკნელ დრომდე კი საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

ვ. ი. ალავიძე არჩეული იყო სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოების დეპუტატად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრად. დაჯილდოებულია ოქტომბრის რევოლუციის ორდენით, ორი „საპატიო ნიშნის“ ორდენით და მედლებით. ჰყავს ცოლი და ქალიშვილი. (ᲢᲐᲡᲙᲡᲘᲜ).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲖᲔᲜᲐᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ 1990 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

1990 **ᲬᲚᲘᲡ** გეგმის რეალიზაცია მნიშვნელოვან ნაბიჯად უნდა იქცეს „სსრ კავშირის ხაშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებათა შესახებ“ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის დადგენილების შესრულების საქმეში და მოწოდებულია შეაჩეროს ნეგატიური ტენდენციების ზრდა სახალხო მეურნეობაში.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ᲐᲓᲒᲔᲜᲡ:**

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამუშავებული საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1990 წლის სახელმწიფო გეგმა, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა წინადადებათა გათვალისწინებით.

2. განისაზღვროს 1990 წლისათვის შემდეგი უმნიშვნელოვანესი ამოცანები და პრიორიტეტები:

რესპუბლიკის ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილიზაციის, ეფექტიანი მიმოქცევის მოწესრიგებისა და ფინანსური განჯანსაღების ღონისძიებათა განუხრელი განხორციელება;

სურსათის, სამრეწველო დანიშნულების სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების ზრდის და მოსახლეობის ხელმისაწვდომობის საფუძველზე სამომხმარებლო ბაზარზე მდგომარეობის გაუმჯობესება;

სოციალურ-კულტურული სფეროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება და უწინარეს ყოვლისა საბინაო მშენებლობის ინტენსივობით გაფართოება;

შედარებით დაბალი შემოსავლების მქონე მოქალაქეთა, განსაკუთრებით პენსიონერთა და ინვალიდთა სოციალური დაცვის გაძლიერება;

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება; საზოგადოებრივი წარმოების სტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება, მრეწველობის სამაგო დარგების განვითარების სოციალური მიმართულების გაძლიერება;

წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, პირველ რიგში ყველა სახალხო-სამეურნეო რესურსის ყოველმხრივი ეკონომიისა და რაციონალური გამოყენების საფუძველზე;

რესპუბლიკაში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების ქმედითი ღონისძიებების გატარება.

უზრუნველყოფილ იქნეს 1990 წელს საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების შემდეგი ძირითადი მაჩვენებლების მიღწევა.

	მილ. მანეთი	პროცენტებით 1989 წლის გეგმასთან
ეროვნული პროდუქტი, პროცენტობით 1989 წლის გეგმასთან		102,7
წარმოებული ეროვნული შემოსავალი, პროცენტობით 1989 წლის გეგმასთან		103,0
გამოყენებული ეროვნული შემოსავლის სტრუქტურა პროცენტებში:		
რესურსები მიმდინარე მოხმარებისა და არასაწარმოო მშენებლობისათვის		87,0
რესურსები გაფართოებული კვლავწარმოებისა და სხვა მიზნებისათვის		13,0
საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება, პროცენტობით 1989 წლის გეგმასთან		103,2
წარმოების საშუალებათა წარმოება მრეწველობაში („ა“ ჯგუფი), პროცენტობით 1989 წლის გეგმასთან		100,5
მოხმარების საგნების წარმოება მრეწველობაში („ბ“ ჯგუფი), პროცენტობით 1989 წლის გეგმასთან		106,7
რეალური შემოსავლები მოსახლეობის ერთ სულზე, პროცენტობით 1989 წლის გეგმასთან		102,8
ᲛᲝᲠᲘᲗᲘ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘ		
სახალხო მოხმარების საქონელი,		
საცალო ფასებში — სულ	7300	108,9
მათ შორის:		
სახურსათო საქონელი	3058	102,4
არასახურსათო საქონელი	4247	110,4
მათ შორის მსუბუქი მრეწველობის საქონელი	2800	104,8
მოსახლეობის ფასიანი მომსახურება (სახელმწიფო შეკვეთა)	1090	103,0

დაწესდეს რესპუბლიკური ფონდში სურსათის და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის, არასასურსათო დანიშნულების სახალხო მოხმარების საქონლის, მსუბუქი მრეწველობის საქონლის და სამკურნალწამლო საშუალებების მიწოდების სახელმწიფო შეკვეთები.

4. „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1990 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1989 წლის 31 ოქტომბრის დადგენილების მე-4 პუნქტის შესაბამისად უზრუნველყოფილ იქნეს მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა თანამიმდევრული განხორციელება დადგენილი წესით.

5. სოციალურ-კულტურული სფეროს მატერიალური ბაზის შემდგომი განმტკიცების მიზნით უზრუნველყოფილ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებული მეურნეობის მიხედვით დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე საექსპლოატაციოდ გადაცემა:

საცხოვრებელი სახლების — 1803,6 ათასი კვ მეტრი საერთო ფართობით;

სკოლამდელი დაწესებულებების — 9,25 ათასი ადგილით;

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების — 33,02 ათასი ადგილით;

სკოლა-ინტერნატების ობოლი ბავშვებისათვის და მშობლების მეურვეობის გარეშე დარჩენილი ბავშვებისათვის, სამბავშვო სახლების — 0,6 ათასი ადგილით;

კლუბების და კულტურის სახლების — 12,8 ათასი ადგილით;

საავადმყოფოების — 1,2 ათასი საწოლით;

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესმა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქების და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა 1990-1991 წლებში გამოყოს ამოქმედებული საცხოვრებელი სახლების საერთო ფართობის 5 პროცენტამდე მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, მათ შორის საწარმოების, ორგანიზაციების და დაწესებულებების ხარჯზე (აგროსამრეწველო კომპლექსის, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს, სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტისა და სარკინიგზო ჯარების, ინვალიდების საზოგადოებების საცხოვრებელი სახლების გარდა) იმ ოდენობაზე ზევით, რომელიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 7 სექტემბრის №784 დადგენილების 1 პუნქტით სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების შემცირებასთან დაკავშირებით თადარიგში გასული, ანდა სამსახურიდან დათხოვნილი პირების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფისათვის.

6. მოწონებულ იქნეს კაპიტალდაბანდებათა კრებსითი ბალანსი 1990 წლისათვის, რომელიც ითვალისწინებს მათ საერთო მოცულობას დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე 8046 მილიონი მანეთის, მათ შორის საწარმოო სფეროში 1830 მილიონი მანეთის და არასაწარმოო სფეროში 1216 მილიონი მანეთის ოდენობით.

დამტკიცდეს სახელმწიფო ცენტრალიზებული კაპიტალდაბანდებების ლიმიტები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებული მეურნეობის მიხედვით საწარმოო სფეროში 326 მილიონი მანეთის და არასაწარმოო სფეროში 632 მილიონი მანეთის ოდენობით.

მიეცეს წინადადება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქების და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს გამოიყენონ აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარებისათვის, სამრეწველო საწარმოებისათვის და სამშენებლო ორგანიზაციებისათვის საწარმოო მშენებლობაზე გამოყოფილი სახელმწიფო ცენტრალიზებული კაპიტალდაბანდებების და მათთან დაკავშირებული მატერიალური რესურსების და საიჯარო სამუშაოების ლიმიტების 10 პროცენტი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქების და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა უზრუნველყონ კაპიტალური მშენებლობისათვის გამოყოფილი ცენტრალიზებული სახსრების რაციონალური გამოყენება, მათი წარმართვა მხოლოდ იმ მშენებლობებსა და ობიექტებზე, რომელთა განხორციელება განპირობებულია რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის საიმედო ქმედუნარიანობის უზრუნველყოფის აუცილებლობით. საწარმოო სიმძლავრეების ამოქმედების დაჩქარების მიზნით, უწინარეს ყოვლისა, სახელმწიფო შეკვეთის ობიექტებზე, მიღებულ იქნეს მშენებლობის ფრონტის შემცირების კაპიტალდაბანდებების, მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური რესურსების და სამშენებლო ორგანიზაციების სიმძლავრეთა კონცენტრაციის ღონისძიებანი იმ ობიექტების მშენებლობის დამთავრებაზე, რომელთა ამოქმედება გათვალისწინებულია 1990 წელს.

დაწესდეს სახელმწიფო შეკვეთა საშენი მასალების მიწოდებაზე საერთო-რესპუბლიკური საჭიროებისათვის.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა 1990 წელს უზრუნველყონ გადადებული ღონისძიებების განხორციელება ეკოლოგიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გარემოს მომატებული დაბინძურების მქონე რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში.

დაწესდეს სახელმწიფო შეკვეთა უმნიშვნელოვანესი საერთო-სახელმწიფოებრივი დანიშნულების ბუნებადაცვითი ობიექტების ამოქმედებაზე.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ გეგმის შესრულების მიმდინარეობისას მიიღოს ზომები საგარეო ეკონომიკური კავშირების გარდაქმნის, უწინარეს ყოვლისა დამშუშავებელი დარგების მთელი პროდუქციის, განსაკუთრებით მანქანათმშენებლობის პროდუქციის საექსპორტო მიწოდების გაზრდისა და სტრუქტურის სრულყოფის, მსოფლიო ბაზარზე მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლების, იმპორტის სტრუქტურის გაუმჯობესების მიმართულებით.

9. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო ყურადღებას მიაპყრობს წარმოების თითოეულ უბანსა და მართვის ყველა დონეზე სახელმწიფოებრივ, შრომითი და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებას, უუაირათობასა და დანაკარგებთან გადამწყვეტი ბრძოლის აუცილებლობაზე და ავალდებულებს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უზენაეს საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, მართვისა და სამეურნეო ხელმძღვანელობის ორგანოებს ამ მიზნით ფართოდ გაშალონ საჭირო ორგანიზატორული მუშაობა.

10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული და სათანადო წესით შეტყობინებული სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1990 წლის სახელმწიფო გეგმის მაჩვენებლებიდან და ამ დადგენილებიდან გამომდინარე დამტკიცოს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მაჩვენებლები დარგებისა და რეგიონების მიხედვით და დადგენილი წესით დაიყვანოს ისინი რესპუბლიკის ხალხნისტროებამდე, უწყებებამდე, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებამდე, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებამდე.

11. საქართველოს სსრ სამინისტროების და უწყებების, საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებისა და გაერთიანებების, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტების მთავარ ამოცანად 1990 წელს ჩაითვალოს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად შემუშავებული სახელმწიფო გეგმის მაჩვენებლების შესრულებისათვის ზომების მიღება, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრონ ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებას და ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის შემდგომ გაძლიერებას, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში არსებული ნეგატიური მოვლენების დაძლევას, უმოკლეს ვადაში სახალხო მეურნეობაში გადაუდებელი პრობლემების გადაჭრას და პროგრესის გზით რესპუბლიკის თანამიმდევრული წინსვლის მტკიცე საფუძვლის შექმნას.

დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს განიხილონ საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა მიერ საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1990 წლის სახელმწიფო გეგმის პროექტის განხილვის დროს გამოთქმული კონკრეტული შენიშვნები და წინადადებები და მიიღონ მათ გამო შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

12. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების დაიწყონ კონტროლი საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1990 წლის გეგმის დავალებათა შესრულების მიმდინარეობაზე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ᲒᲣᲛᲑᲐᲠᲘᲫᲔ.**
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ᲙᲕᲐᲠᲐᲪᲮᲔᲚᲘᲐ.**

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. 1989 წლის 18 ნოემბერი

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲖᲔᲜᲐᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ 1989 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ᲐᲓᲒᲔᲜᲡ:**

1. მიღებულ იქნეს ცნობად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მოხსენება საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1989 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აბორიგენებს საჭირო ღონისძიებებს მისი შესრულებისათვის.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილოს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების წინადადებები და შენიშვნები, აგრეთვე საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სხდომებზე გამოთქმული წინადადებები და შენიშვნები და მიიღოს მათ გამო შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ᲒᲣᲛᲑᲐᲠᲘᲫᲔ.**
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ᲙᲕᲐᲠᲐᲪᲮᲔᲚᲘᲐ.**

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. 1989 წლის 18 ნოემბერი

ᲡᲔᲡᲘᲘᲡ ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

ᲡᲐᲜᲐᲛ დაიწყებოდა ქვეყნის სახელმწიფო გარდაქმნის ძირეული პრობლემების მორიგი „ბლოკის“ განხილვა, 22 ნოემბერს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს სესიის დღის სხდომის თავმჯდომარემ ე. ბ. პრიმაკოვმა გამოაცხადა, რომ დამთავრდა წინა საღამოს ატეხილი საპროცედურო დავა. სესია ვერ ეტევა გათვალისწინებულ ვადებში, ამიტომ გამოსავალი ერთია: გაგრძელდეს მისი მუშაობა კიდევ ორი დღით — ოთხშაბათ კვირამდე.

პრობლემათა სიმშვავე და მნიშვნელობა რომ ამ ეტაპზეც ეტყობოდა, დაადასტურა დისკუსიების მიმდინარეობამ ოთხშაბათსაც, როცა დღის წესრიგში პირველი იდგა ერთ-ერთი ფუნდამენტური ეკონომიკური კანონი — იჯარის შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლების პროექტი.

ეკონომიკური რეფორმის საკითხთა კომიტეტის სახელით ეს სხდომას დაწვრილებით მოახსენა პ. გ. პუნინჩმა. მან გამოსვლა და

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

კანონი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1990 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ 1990 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რესპუბლიკის რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების მიერ განსაზღვრული შესაბამისი ბიუჯეტების (რომელთა შემოსავლისა და გასავლის მოცულობა შეადგენს 1.304.494 ათას მანეთს) გათვალისწინებით შემოსავლისა და გასავლის ნაწილში 4.288.152 ათასი მანეთის ოდენობით.

განსაზღვროს საქართველოს სსრ 1990 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საერთო შემოსავალში საკავშირო ბიუჯეტიდან გეგმით გათვალისწინებული ლონისძიებების დასაფინანსებლად გამოყოფილი სახსრები 655.541 ათასი მანეთისა და ბიუჯეტის შესრულების პროცესში გამოსავლენი დამატებითი შემოსავლები — 210.000 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 2. დაწესდეს საქართველოს სსრ 1990 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან შემოსავალი 3.680.450 ათასი მანეთის საერთო თანხის ოდენობით.

მუხლი 3. დაწესდეს საქართველოს სსრ 1990 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში სახალხო მეურნეობის დაფინანსების ხარჯები 1.777.259 ათასი მანეთის საერთო თანხის ოდენობით.

მუხლი 4. დაწესდეს საქართველოს სსრ 1990 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში სოციალური კულტურულ ღონისძიებათა ასიგნებანი 2.209.134 ათასი მანეთის საერთო თანხის ოდენობით, მათ შორის სახელმწიფო სოციალური დაზღვევის საკავშირო ბიუჯეტიდან მიღებული სახსრების ხარჯზე — 546.700 ათასი მანეთი.

მუხლი 5. დაწესდეს საქართველოს სსრ 1990 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისა და სასამართლოების შესანახი ასიგნებანი 44.742 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 6. დამტკიცდეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1990 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი შემოსავლისა და გასავლის ნაწილში 2.933.658 ათასი მანეთის ოდენობით და გარდა ამისა საკასო სახრჯნაკი სახსრები 1990 წლის 1 იანვრისათვის 37510 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 7. მიღებულ იქნეს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რესპუბლიკის რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების მიერ განსაზღვრული საქართველოს სსრ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტები და ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების 1990 წლის ბიუჯეტები შემოსავლისა და გასავლის ნაწილში შემდეგი ოდენობით:

	(ათასი მანეთი)
1. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	117.612,7
2. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	90.550,7
3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	34.530,0
4. ქალაქი თბილისი	466.029,9
5. ქალაქი ქუთაისი	73.783,0
6. ქალაქი ფოთი	19.352,8
7. ქალაქი ჭიათურა	13.707,3
8. ქალაქი რუსთავი	48.255,9
9. ქალაქი გორი	10.899,3
10. ქალაქი ტყიბული	7.500,0
11. ქალაქი ზუგდიდი	8.701,2
12. ქალაქი წყალტუბო	9.416,4
13. აბაშის რაიონი	5.854,7
14. ადიგენის რაიონი	5.381,1
15. ამბროლაურის რაიონი	5.032,0
16. ახალციხის რაიონი	4.188,2
17. ახალქალაქის რაიონი	10.657,8
18. ახალციხის რაიონი	10.363,1
19. ახმეტის რაიონი	7.781,7
20. ბოგდანოვკის რაიონი	7.197,2
21. ბოლნისის რაიონი	10.534,8
22. ბორჩალოს რაიონი	7.672,1
23. გარდაბნის რაიონი	13.042,5
24. გორის რაიონი	10.951,3
25. გურჯაანის რაიონი	11.117,0
26. დმანისის რაიონი	7.405,1
27. დუშეთის რაიონი	7.471,7
28. ვანის რაიონი	6.484,8
29. ზესტაფონის რაიონი	11.597,4
30. ზუგდიდის რაიონი	10.071,0
31. თეთრი წყაროს რაიონი	6.760,5
32. თელავის რაიონი	13.290,0
33. თერჯოლის რაიონი	6.993,7
34. თიანეთის რაიონი	4.319,0
35. კახეთის რაიონი	7.550,1
36. ლაგოდეხის რაიონი	8.401,2
37. ლანჩხუთის რაიონი	7.051,8
38. ლეწკოვის რაიონი	4.181,1
39. მაიაკოვსკის რაიონი	6.030,0
40. მარნეულის რაიონი	17.035,0
41. მარტვილის რაიონი	8.204,7
42. მესტიის რაიონი	6.288,8
43. მცხეთის რაიონი	7.723,8
44. ოზურგეთის რაიონი	15.700,0
45. ონის რაიონი	3.765,7
46. საგარეჯოს რაიონი	8.119,0
47. სამტრედიის რაიონი	9.404,8
48. სენაკის რაიონი	7.150,4
49. სენაკის რაიონი	8.867,1
50. სიღნაღის რაიონი	8.103,9
51. ჭალენჯიხის რაიონი	7.814,2
52. ყაზბეგის რაიონი	2.712,0
53. ყვარლის რაიონი	7.108,5
54. ჩოხატაურის რაიონი	5.750,0
55. ჩხოროწყუს რაიონი	6.616,2
56. ცაგერის რაიონი	5.100,0
57. წალენჯიხის რაიონი	7.922,0
58. წალკის რაიონი	8.146,9
59. წითელწყაროს რაიონი	6.267,0
60. ხარაგაულის რაიონი	5.964,4
61. ხაშურის რაიონი	8.660,5
62. ხობის რაიონი	6.945,0
63. ხონის რაიონი	7.400,3
სულ	1.304.494,3

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. გუმბარიძე.**

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. კვარაცხელია.**

თბილისი. 1989 წლის 18 ნოემბერი.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება

საქართველოს სსრ 1988 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ 1988 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში შემოსავლის ნაწილში — 4189642 ათასი მანეთისა და გასავლის ნაწილში — 3996846 ათასი მანეთის ოდენობით, გასავალზე შემოსავლის 142796 ათასი მანეთის გადამეტებით.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. გუმბარიძე.**

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. კვარაცხელია.**

თბილისი. 1989 წლის 18 ნოემბერი.

კანონებზე... კანონმდებლობისათვის

საპარლამენტო პრაქტიკა ჩვენს ქვეყანაში ამ ბოლო დრომდე მნიშვნელოვანწილად იყრდნობოდა თვითმოქმედების საფუძველს. „დემოკრატიის სწავლება“ ხარვეზებთან და მოუხერხებლობასთან იყო დაკავშირებული როგორც სსრ კავშირის სახალხო დეპუტატებისათვის, ისე მათი ამომრჩევლებისთვისაც. თვით პარლამენტარებიც კი აღიარებდნენ, რომ კომიტეტებისა და კომისიების მუშაობაში, მაგალითად, „ბევრია არაორგანიზებულობა და იერიშობანა“, და აი, დადგა კანონმდებლებისათვის მარეგლამენტირებელი დოკუმენტების მიღების ჟამი.

21 ნოემბერს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს სესიის დილის პლენარულ სხდომაზე გადაწყდა პირველ რიგში განიხილონ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობისა და სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს რეგლამენტის პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ **ა. ი. লუკიანოვმა** ამ საკითხზე სიტყვა მისცა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარეს **ე. მ. პრიმაკოვს.**

რეგლამენტი, ხაზგასმით აღნიშნა კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ, ასახავს სახალხო დეპუტატთა პირველი ყრილობის, უზენაესი საბჭოს, მისი კომიტეტებისა და პალატების კომისიების საქმიანობის პრაქტიკას. მასში საკანონმდებლო წესით დამკვიდრებულია ყოველივე ის დადებითი, რაც გამოცდილებითაა შეძენილი. ეს არის ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური რეფორმის სამართლებრივი ბაზის ნაწილი, ამიტომ რეგლამენტის პროექტში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დემოკრატიულ პრინციპებს, საჯაროობას, რომელთა გარეშეც შეუძლებელია ნამდვილი სახალხო ხელისუფლებიანობა.

მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პროექტის მიღება სრულიადაც არ ნიშნავს რეგლამენტის სრულყოფაზე მუშაობის დამთავრებას. პირიქით, ეს არის მუდმივი პროცესი, რომელიც ვერ ჰგუობს დოგმატიზმს: მსოფლიოს მრავალ პარლამენტში. როგორც ცნობილია, რეგლამენტი წლების, ათწლეულებისა და ასწლეულების მანძილზეც კი იხვეწება.

დეპუტატთა მრავალი წინადადების გათვალისწინებით ექვსი მუხლი ისევ ჩამოყალიბებული, რომ მათი მიღება მოითხოვს შესაბამისი შესწორებების შეტანას სსრ კავშირის კონსტიტუციაში. და მაშინვე დასძინა, რომ ასეთი გზა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ტრადიციულად და, რა თქმა უნდა, იურისტთა დისკუსიებს გამოიწვევს, რადგან, არსებული წესების თანახმად, რეგლამენტი მკაცრად უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას.

უზენაესი სახელმწიფო ორგანოების მუშაობაში ახალი მომენტი, რომელიც პროექტშია ასახული, არის სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ჯგუფებად, გაერთიანების საკითხიც — მას ეძღვნება სპეციალური თავი.

რეგლამენტის პროექტი შეიცავს ზუსტ ნორმებს, რომლებიც დაკავშირებულია გამოსასვლელად სახალხო დეპუტატებისათვის სიტყვის მიცემასთან, დგინდება რიგითობის წესი. ამასთან აღინიშნულია, რომ ორატორმა თავის სიტყვაში არ უნდა გამოიყენოს უხეში და არაკორექტული გამოთქმები, მოუწოდოს უკანონო და ძალადური მოქმედებისათვის.

ყურადღება მიეპყრო რეგლამენტის ასეთ დებულებასაც: სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე მუშაობა მიმდინარეობს რუსულ ენაზე. ამით აისახება ის პოლიტიკური რეალობა, რომ რუსული ენა უკვე დღეს ასრულებს ეროვნებათშორისი ურთიერთობის ენის ფუნქციას. ამავე დროს დოკუმენტის პროექტში მკაფიოდაა ნათქვამი, თუ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი არ ფლობს რუსულ ენას, უფლება აქვს გამოვიდეს სსრ კავშირის ხალხთა სხვა ენაზე, რომელიც უნდა ითარგმნოს რუსულად.

რეგლამენტის პროექტი ითვალისწინებს მინისტრთა საბჭოს საკონსტიტუციო ზედამხედველობის კომიტეტის, სხვა სახელმწიფო ორგანოების ფორმირების განსაკუთრებულ პროცედურას, იმ საკითხთა განხილვასა და გადაწყვეტის წესს, რომლებიც დაკავშირებულია ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმასთან, სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტთან და მრავალ სხვა საკითხთან, ხელისუფლების უზენაესი ორგანოების მიერ საგარეო პოლიტიკური საქმიანობის განხორციელების წესთან.

დასასრულ ე. მ. პრიმაკოვმა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით წამოაყენა წინადადება მოიწონონ პროექტი.

ქვეყანაში უმნიშვნელოვანესი დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნიდან ნახევარი წლის შემდეგ ჩვენ, ბოლოს და ბოლოს, მივედით იმ დასკვნამდე, რომ დავამტკიცოთ მათი მუშაობის წესები, აღნიშნა დეპუტატმა **ხ. ბ. ტანკიევიჩმა.** ამასთან საპარლამენტო პროცედურა ნამდვილი დემოკრატიის აუცილებელი პირობაა. წარმოიდგინეთ ორი მოჭადრაკე, რომელთაგან თითოეული თავისი წესებით თამაშობს: მალე ისინი მიატოვებენ დაფას და ერთმანეთს შეებმებიან. არ მინდა შევურიგდე აზრს, რომ ასეთი რამ შეიძლება მოხდეს ჩვენს პარლამენტში და მოლიანად ქვეყანაში...

დეპუტატმა **ა. ფ. ნაზარენკომ** ილაპარაკა იმაზე, რომ უნდა შეიქმნას საპარლამენტო კამათის დროს წარმოქმნილი კონფლიქტური სიტუაციების დემოკრატიული გადაწყვეტის მექანიზმი. უმრავლესობასა და უმცირესობას შორის გადაუჭრელი უთანხმოების გაჩენის შემთხვევაში, მიაჩნია მას, მიზანშეწონილია მოეწყოს საერთო-სახალხო რეფერენდუმი.

სხდომაზე ცხარე დისკუსია გამოიწვია სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს შემადგენლობის როტაციის პრობლემამ. ორატორთა უმრავლესობამ მხარი არ დაუჭირა პროექტში წარმოდგენილ განახლების ყოველწლიურ კვოტას — თითოეულ პალატაში 54 ადგილს, და მიემხრო როტაციის უფრო მოქნილ ფორმულას — კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს დაახლოებით მეხუთედ ნაწილს, ეს, დისკუსიის მონაწილეთა აზრით, ელფერს შეუნარჩუნებს დეპუტატთა კორპუსს, უზრუნველყოფს მემკვიდრეობითობას პარლამენტართა მუშაობაში. ამასთან აღინიშნა, რომ მოკავშირე რესპუბლიკებს უფლება აქვთ თავად განსაზღვრონ, ვინ გადაირჩინონ და ვინ დატოვონ საკანონმდებლო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს შემადგენლობაში.

ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს ფრაქციებში რესპუბლიკური ჯგუფების ფორმირების შესაძლებლობის საკითხმა უდიდესი ემოციები, ძველი წესების ზოგიერთი მომხრის მსუბუქი შოკიც კი გამოიწვია. ახლა კი, ალექსანდრ დისკუსიის მონაწილეებმა, [illegible] არის ჩვენი საპარლამენტო კულტურის აღიარებული ელემენტი. კანონზომიერია, რომ იგი სამართლებრივად განმტკიცდა რეგლამენტში.

დისკუსიის მიმდინარეობამ აცხადყო, რომ საპარლამენტო რეგლამენტში წვრილმანები არ არსებობს. არსებითია, მაგალითად, თუ რამდენად კორექტულად იქცევა დეპუტატი თავისი ცოლეგების მიმართ, დასაბუთებულია თუ არა ხმის დამფლელი ელექტრონული სისტემა. დეპუტატმა **ი. რ. ბოიარსკმა** წინადადება წამოაყენა ამ და მთელი რიგი სხვა საკითხების განხილვისას უფრო გაბედულად გამოიყენონ საზოგარგარეთის პარლამენტების გამოცდილება.

დისკუსიის დასასრულს გამოვიდა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს კანონმდებლობის, კანონიერებისა და მართლწესრიგის საკითხთა კომიტეტის წევრი **კ. დ. ლუბენჩენკო.** მან აღნიშნა, რომ რეგლამენტის პროექტი მრავალი მეცნიერის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დიდი და გულმოდგინე მუშაობის შედეგია. ამავე დროს, ეს დოკუმენტი არ შეიძლება აბსოლუტურად დახვეწილი იყოს, რადგან თვით საპარლამენტო მუშაობის პრაქტიკა მასში არსებითს კორექტივებს შეიტანს ხოლმე. ორატორმა წინადადება წამოაყენა, შეიქმნას ყრილობისა და სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მუშაობის წესებისა და პროცედურის კომიტეტი.

სესიამ მიიღო დადგენილება, რომელშიც მოიწონა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობისა და სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს რეგლამენტის პროექტი. ეს კანონპროექტი სესიაზე გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით შესაბამისი დახვეწის შემდეგ შეაქვთ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობის განსახილველად.

შემდეგ უზენაესი საბჭოს წევრებმა განიხილეს კანონპროექტების პაკეტი, რომლებიც უშუალოდ ეხება თვით სახალხო დეპუტატების საქმიანობას. ეს არის ჩვენ ქვეყანაში სახალხო დეპუტატთა სტატუსის შესახებ, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის გამოხმობის წესის შესახებ, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატებისათვის, განაწესების მიცემის შესახებ კანონების პროექტები.

ამ საკითხზე გამოვიდა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე **რ. ნ. ნიშანოვი.** მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოების სრული ძალაუფლების აღორძინების პირობებში დეპუტატი ცენტრალური ფიგურა ხდება ყველა დონის საბჭოში.

სტატუსის შესახებ კანონის პროექტში დასაწყისშივე შემთხვევით როდია ნათქვამი, რომ დეპუტატები — ხალხის ეს სრულუფლებიანი და პასუხისმგებელი წარმომადგენლები — მოწოდებული არიან მისი ნდობის საფუძველზე გამოხატავდნენ და იცავდნენ საბჭოებში საზოგადოებრივ ინტერესებს, ხელმძღვანელობდნენ, სახელმწიფოს საქმეებს, სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, წარმართავდნენ და აკონტროლებდნენ სახელმწიფო აპარატის მუშაობას. დეპუტატები წარმოადგენენ საბჭოთა საზოგადოებაში ხალხის თვითმმართველობის [illegible] ელას.

[illegible] მოგვერ [illegible] ერთ [illegible] ბლად.

იგი შეეხო სტატუსის შესახებ კანონის პროექტის სხვადასხვა მუხლში შეტანილ მთელ რიგ დამატებებს.

გაკეთდა ინფორმაცია ბევრი [illegible] ერი [illegible] ინ [illegible] ბ [illegible] ბ [illegible] ბ

სსრ კავშირში ადგილობრივი თვითმმართველობისა და ადგილობრივი მეურნეობის ზოგადი საწყისების შესახებ

(დასასრული)

ჯარიმები, რომლებსაც სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები, მათი ორგანოები ადებენ ადგილობრივი საბჭოს ტერიტორიაზე ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის;

საწარმოთა გადასახდელები ლიმიტების გადაჭარბებით გამოყენებული შრომითი რესურსებისათვის;

სხვა ბიუჯეტისგარეშე სახსრები.

2. ბიუჯეტისგარეშე ფონდების სახსრები ინახება სპეციალურ ანგარიშებზე, რომლებიც ბანკების დაწესებულებებში იხსნება, არ შეიძლება მათი ამოღება და იხარჯება სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების შეხედულებისამებრ.

3. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს შრომითი კოლექტივების თანხმობით შეუძლიათ გააერთიანონ საწარმოთა, კოოპერატივთა, სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ფონდები და მოსახლეობის სახსრები, აგრეთვე ბიუჯეტისა და ბიუჯეტისგარეშე სახსრები წილობრივ საწყისებზე სოციალური და საწარმოო ინფრასტრუქტურის ობიექტების შენებლობისათვის, გაფართოების, რემონტისა და შენახვისათვის.

მუხლი 12. საზოგადოებრივი ტერიტორიული თვითმმართველობის ორგანოების ფინანსური სახსრები

1. საზოგადოებრივი ტერიტორიული თვითმმართველობის ორგანოების ფინანსური სახსრები იქმნება საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა, კოოპერატივთა, მოსახლეობის ნებაყოფლობითი შენატანებისა და შეწირულების, მათ მიერ შექმნილი საწარმოების შემოსავლის, კრედიტების, განხორციელებული ღონისძიებების შემოსავლის ხარჯზე.

2. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს თავიანთი ფინანსური სახსრების ნაწილი შეუძლიათ გადასცენ საზოგადოებრივი ტერიტორიული თვითმმართველობის ორგანოებს.

3. საზოგადოებრივი ტერიტორიული თვითმმართველობის ორგანოები:

დამოუკიდებლად იყენებენ მათ განკარგულებაში არსებულ ფინანსურ სახსრებს თავიანთი საქმიანობის მიზნების შესაბამისად;

უფლება აქვთ ბანკების დაწესებულებებში გახსნან ანგარიშები ფულადი ოპერაციებისათვის.

მუხლი 13. კრედიტი და ფულის მიმოქცევა

1. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს, ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა ორგანოებს უფლება აქვთ მონაწილეობდნენ თავიანთი სახსრებით საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებათა შექმნასა და საქმიანობაში.

2. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები განიხილავენ და ამტკიცებენ მოსახლეობის ფულადი შემოსავლისა და გასავლის ბალანსებს და საკასო გეგმებს, ხელს უწყობენ თავიანთ ტერიტორიაზე ფულის მიმოქცევის განმტკიცებას.

3. ბანკებისა და საფინანსო-საკრედიტო ურთიერთობის სისტემა უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებებს.

მუხლი 14. საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობანი

1. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს უფლება აქვთ:

ორგანიზაცია გაუწიონ საზღვარგარეთელ პარტნიორებთან ხელშეკრულებათა დადებას პროდუქციის რეალიზაციისა და შეძენისათვის არსებული საგალუტო სახსრების ხარჯზე ან სხვა საფუძველზე;

შექმნან ერთობლივი საწარმოები, მონაწილეობა მიიღონ საზღვარგარეთელ პარტნიორებთან ერთობლივი სამეცნიერო, კულტურული და ტურისტული ცენტრების, ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის სხვა ორგანიზაციების შექმნაში, რომლებიც უკავშირდება სოციალური და საწარმოო სფეროების უზრუნველყოფას თანამედროვე მოწყობილობით, საბინაო-კომუნალური, საქალაქო მეურნეობის, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების მექანიზაციის საშუალებებით უზრუნველყოფას, მათი მატერიალური ბაზის განვითარებას;

შექმნან საგალუტო ფონდები დადგენილი სტაბილური ხანგრძლივი ნორმატივების მიხედვით საწარმოების, ტურისტული ცენტრებისა და კოოპერატივების საგალუტო ამონაგების, აგრეთვე პროდუქციის რეალიზაციის ანარიცხების ხარჯზე.

მოაწყონ საზღვრისპირა და საგანაირო ვაჭრობა.

2. სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილ თავისუფალი მეწარმოების ზონებში სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს სხვა უფლებამოსილებანიც აქვთ საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის სფეროში.

IV. ადგილობრივი თვითმმართველობის გარანტიები

მუხლი 15. ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმების შეთანხმება

1. შესაბამის ტერიტორიაზე **ბუნებრივი რესურსების გამოყენების,** ეკონომიკური და სოციალური ობიექტების შექმნის ან გარდაქმნის ვერც ერთი საკითხი ვერ გადაწყვეტა სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს თანხმობის მიუღებლად.

2. საწარმოები და ორგანიზაციები, მათი დაქვემდებარების მიუხედავად, სავალდებულო წესით უთანხმებენ გეგმებს, აგრეთვე დამტკიცებულ გეგმებში, სოციალური სფეროს განვითარების, მოსახლეობის მომსახურების, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების, მშენებლობის, მუშაკთა რაოდენობის, შრომითი რესურსების, ადგილობრივ სახეობათა ნედლეულისა და მასალების, მეორეული რესურსების, ბუნების დაცვის, მიწით, წყლით და ტყით სარგებლობის ნაწილში შეტანილ ცვლილებებს ავტონომიური ოლქების საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა რაბონულ, საქალაქო, ქალაქების რაიონულ, სადაბო და სასოფლო საბჭოებს.

აღნიშნული წესის დარღვევის შემთხვევაში ადგილობრივ საბჭოებს უფლება აქვთ მიიღონ გადაწყვეტილება შეუთანხმებელი გეგმებით სამუშაოს წარმოების შეჩერების შესახებ. ასეთი გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

3. ადგილობრივი თვითმმართველობის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა ხორციელდება დამოუკიდებელი ეკონომიკური საქმიანობის განვითარების, აგრეთვე სახელმწიფო მომარაგების არსებული სისტემის საფუძველზე.

მუხლი 16. სოციალისტური კანონიერების უზრუნველყოფა

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს უფლება აქვთ:

შეაჩერონ შესაბამის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების აქტების მოქმედება, თუ ეს აქტები ეწინააღმდეგება კანონმდებლობას ან საბჭოს მიერ მისი კომპეტენციის ფარგლებში მიღებულ გადაწყვეტილებებს;

განაზორციელონ სტიქიური უბედურებების, ეპიდემიების, ეპიზოოტიების, ხანძრებისა და სახოგადოებრივი წესრიგის დარღვევების შემთხვევებში კანონმდებლობით გათვალისწინებული საგანგებო ღონისძიებანი მოქალაქეთა პირადი უშიშროების უზრუნველსაყოფად, მათი უფლებების, სოციალისტური საკუთრებისა და მართლწესრიგის დასაცავად;

კანონმდებლობით გზთვალისწინებულ შემთხვევებში მიიღონ გადაწყვეტილებანი და დააწესონ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა მათი დარღვევისთვისაც.

მუხლი 17. ადგილობრივი თვითმმართველობის გადაწყვეტილებათა სავალდებულობა და უფლებათა დაცვა

1. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები უფლებამოსილებათა ფარგლებში იღებენ გადაწყვეტილებებს, რომლებიც სავალდებულოა შეასრულონ საუწყებო ტერიტორიაზე განლაგებულმა ყველა საწარმომ, ორგანიზაციამ, დაწესებულებამ, კოოპერატივმა, თანამდებობის პირებმა და მოქალაქეებმა.

2. ადგილობრივი რეფერენდუმის შედეგად ამომჩრჩველთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი სავალდებულოა სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოებისათვის, ადგილობრივი თვითმმართველობ ის სხვა ორგანოებისა და მოქალაქეებისათვის. ისინი შეიძლება გაუქმდეს რეფერენდუმების შესახებ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 18. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების პასუხისმგებლობა

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არამართლზომიერი გადაწყვეტილებების ან მოქმედების შედეგად მიყენებული ზარალი ანაზღაურდება სასამართლო წესით.

მუხლი 19. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ხელშეწყობის მოვალეობა

სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოები, საერთო-საკავშირო და საზოგადოებრივ ორგანიზაციათ ა რესპუბლიკური ორგანოები მოვალენი არიან ხელი შეუწყონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, განიხილონ და გათვალისწინონ თავიანთ საქმიანობაში მათი მიმართვები და წინადადებანი, აცნობონ მათ და მოსახლეობას განხილვის შედეგები.

IV. ადგილობრივი თვითმმართველობის გარანტიები

მუხლი 15. ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმების შეთანხმება

1. შესაბამის ტერიტორიაზე **ბუნებრივი რესურსების გამოყენების,** ეკონომიკური და სოციალური ობიექტების შექმნის ან გარდაქმნის ვერც ერთი საკითხი ვერ გადაწყვეტა სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს თანხმობის მიუღებლად.

2. საწარმოები და ორგანიზაციები, მათი დაქვემდებარების მიუხედავად, სავალდებულო წესით უთანხმებენ გეგმებს, აგრეთვე დამტკიცებულ გეგმებში, სოციალური სფეროს განვითარების, მოსახლეობის მომსახურების, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების, მშენებლობის, მუშაკთა რაოდენობის, შრომითი რესურსების, ადგილობრივ სახეობათა ნედლეულისა და მასალების, მეორეული რესურსების, ბუნების დაცვის, მიწით, წყლით და ტყით სარგებლობის ნაწილში შეტანილ ცვლილებებს ავტონომიური ოლქების საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა რაბონულ, საქალაქო, ქალაქების რაიონულ, სადაბო და სასოფლო საბჭოებს.

აღნიშნული წესის დარღვევის შემთხვევაში ადგილობრივ საბჭოებს უფლება აქვთ მიიღონ გადაწყვეტილება შეუთანხმებელი გეგმებით სამუშაოს წარმოების შეჩერების შესახებ. ასეთი გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

3. ადგილობრივი თვითმმართველობის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა ხორციელდება დამოუკიდებელი ეკონომიკური საქმიანობის განვითარების, აგრეთვე სახელმწიფო მომარაგების არსებული სისტემის საფუძველზე.

მუხლი 16. სოციალისტური კანონიერების უზრუნველყოფა

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს უფლება აქვთ:

შეაჩერონ შესაბამის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების აქტების მოქმედება, თუ ეს აქტები ეწინააღმდეგება კანონმდებლობას ან საბჭოს მიერ მისი კომპეტენციის ფარგლებში მიღებულ გადაწყვეტილებებს;

განაზორციელონ სტიქიური უბედურებების, ეპიდემიების, ეპიზოოტიების, ხანძრებისა და სახოგადოებრივი წესრიგის დარღვევების შემთხვევებში კანონმდებლობით გათვალისწინებული საგანგებო ღონისძიებანი მოქალაქეთა პირადი უშიშროების უზრუნველსაყოფად, მათი უფლებების, სოციალისტური საკუთრებისა და მართლწესრიგის დასაცავად;

კანონმდებლობით გზთვალისწინებულ შემთხვევებში მიიღონ გადაწყვეტილებანი და დააწესონ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა მათი დარღვევისთვისაც.

მუხლი 17. ადგილობრივი თვითმმართველობის გადაწყვეტილებათა სავალდებულობა და უფლებათა დაცვა

1. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები უფლებამოსილებათა ფარგლებში იღებენ გადაწყვეტილებებს, რომლებიც სავალდებულოა შეასრულონ საუწყებო ტერიტორიაზე განლაგებულმა ყველა საწარმომ, ორგანიზაციამ, დაწესებულებამ, კოოპერატივმა, თანამდებობის პირებმა და მოქალაქეებმა.

2. ადგილობრივი რეფერენდუმის შედეგად ამომჩრჩველთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი სავალდებულოა სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოებისათვის, ადგილობრივი თვითმმართველობ ის სხვა ორგანოებისა და მოქალაქეებისათვის. ისინი შეიძლება გაუქმდეს რეფერენდუმების შესახებ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 18. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების პასუხისმგებლობა

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არამართლზომიერი გადაწყვეტილებების ან მოქმედების შედეგად მიყენებული ზარალი ანაზღაურდება სასამართლო წესით.

მუხლი 19. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ხელშეწყობის მოვალეობა

სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოები, საერთო-საკავშირო და საზოგადოებრივ ორგანიზაციათ ა რესპუბლიკური ორგანოები მოვალენი არიან ხელი შეუწყონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, განიხილონ და გათვალისწინონ თავიანთ საქმიანობაში მათი მიმართვები და წინადადებანი, აცნობონ მათ და მოსახლეობას განხილვის შედეგები.

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ

საკდესი იუწყება
23 ნოემბერი

მოვლენის ფონ

შეხვედრა, რომელიც ახალ იმედს სახავს

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. „საოცარ დროში ვცხოვრობთ. წინათ არასოდეს არ გვქონია ესოდენ სახიერეთო შესაძლებლობა მშვიდობის განმტკიცებისა და დაძაბულობის შენელებისათვის, — განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. ბუშმა ქალაქ პროვინდენსში (როდ-აილენდის შტატი) გამოსვლისას.

დეკემბრის დამდეგს მალტის ნაპირებთან მ. ს. გორბაჩოვთან მოგავალ შეხვედრას, აღნიშნა მან, „ისტორიული მნიშვნელობა“ ექნება, განსაკუთრებით აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე ესოდენ დინამიკური ცვლილებების მიხედვით, რომლებსაც, პრეზიდენტის თქმით, ვერავინ ვერ იწინასწარმეტყველებდა.

იმავე დღეს სხვა გამოსვლაში პრეზიდენტმა თქვა: „მალტაში მივემგზავრები, რათა განვაგრძო დიალოგი პრეზიდენტ გორბაჩოვთან. ძალზე საჭიროა, რომ ყველა დონის ამერიკელი და საბჭოთა ხელმძღვანელები მონაწილეობდნენ კარგად ჩაფიქრებულ და შინაარსიან დიალოგში“. მან განაცხადა, რომ ყოველ ღონეს იხმარს, რათა გაიგოს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებსა და სსრ კავშირში მიმდინარე „ფანტასტიკური, დინამიკური ცვლილებები“, შაგრამ ამავე დროს აპირებს გამოიჩინოს „სიფრთხილე და წინდახედულება“.

თეთრი სახლის პრესმდივანმა მ. ფიცუოტერმა დაადასტურა, რომ მალტის ნაპირებთან შეხვედრის დამთავრების შემდეგ ჯ. ბუში ჩამოხდება ბრიუსელში, რათა ნატოელ მოკავშირეებს გააცნოს საბჭოთა ხელმძღვანელთან თავისი მოლაპარაკების შედეგები.

ნიუ-იორკი. ვიმედოვნებთ, რომ მ. ს. გორბაჩოვისა და ჯ. ბუშის შეხვედრა დაადასტურებს ორი სახელმწიფოს მისწრაფებას თანამშრომლობისა და ურთიერთმისაღები მიდგომების ახალფუძველზე თანხმობის ძიებისადმი, განაცხადა საკანონმდებლო ორგანოს კონგრესმენებისათვის მიცემულ ინტერვიუში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოადგილემ ჯანიარალიბის პრობლემებში იასუსი აკასიმ. დედამიწაზე დაგროვილი იარაღი ისედაც იმდენად ბევრია, რომ შეიარაღების შემდგომი ზრდა უდიდეს ზარალს აყენებს მრავალი ქვეყნის ეკონომიკას. ი. აკასის აზრით, უმაღლესი დონის მომავალ შეხვედრას შეუძლია დამატებითი იმპულსი მიანიჭოს სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების 50 პროცენტით შემცირების თაობაზე ჩსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მიმდინარე მოლაპარაკებასა და ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ ვენის მოლაპარაკებას. შეიძლება აგრეთვე დაჩქარდეს ქიმიური იარაღის აკრძალვა.

საბჭოთა და ამერიკელი ხელმძღვანელების მომავალი შეხვედრა ახალ იმედს გვისახავს, განაცხადა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პირველი კომიტეტის (პოლიტიკური საკითხები და უშიშროების, მათ შორის განიარაღების საკითხები) თავმჯდომარემ, ვენესუელის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ადოლფო ტეილჰარდტმა. საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის პოზიტიური განვითარება დიდ ზეკოქმედებას ახდენს საერთაშორისო კლიმატის საერთო გაუმჯობესებაზე. და ეს შესაძლებელს ხდის მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი და საესებით კონკრეტული შედეგების მიღწევას, კერძოდ, გამლეტული შეიარაღების შეზღუდვის, შეიარაღების შემცირების, განიარაღების სფეროში.

◆ საბერძნეთი

შეიქმნა მთავრობა

ᲐᲗᲔᲜᲘ. საბერძნეთის ახალი პრემიერ-მინისტრის ქსენოფონ ზოლოტოსისა და რესპუბლიკის პრეზიდენტის ხრისტოს სარძეტაკისის სამი წამყვანი პოლიტიკური პარტიის ლიდერებთან ხანგრძლივი კონსულტაციების შემდეგ მხარეები შეთანხმდნენ ახალი მთავრობის მინისტრების კანდიდატურებზე.

კაბინეტის შემადგენლობაში, რომელიც 27 კაცისაგან შედგება, პარტიებს შორის მორიგების თანახმად შევიდნენ როგორც პოლიტიკური მოღვაწეები, ისე მეცნიერების წარმომადგენლები („ტექნოკრატები“). კონსერვატიულმა პარტიამ „ახალმა დემოკრატიამ“ მიიღო 9 მინისტრის პორტფელი, სრულიად საბერძნეთის სოციალისტურმა მოძრაობამ — 7 და მემარცხენე და პროგრესული ძალების კოალიციამ, რომელშიც საბერძნეთის კომპარტიაც შედის — 3.

ახალი მთავრობის შემადგენლობაზე დარჩება კაბინეტის შვიდი წარმომადგენელი, რომელიც შეიქმნა განმეორებითი საპარლამენტო არჩევნების მოსაწყობად. „გარდამავალი“ მთავრობის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ძანის ძანეტაკისმა მიიღო ეროვნული თავდაცვისა და ტურიზმის მინისტრების პორტფელები. საგარეო საქმეთა მინისტრად დაინიშნა ანტონის სამარასი.

● აშშ

ამერიკის დახმარება 1990 წელს

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. პრეზიდენტმა ჯ. ბუშმა ხელი მოაწერა კანონპროექტს 1990 საფინანსო წელს უცხოთისათვის ამერიკის შეერთებული შტატების დახმარების შესახებ. კანონპროექტი ითვალისწინებს ამ მიზნით 14,6 მილიარდი დოლარის გამოყოფას.

ისევე როგორც წინა წლებში, უმთავრესად დახმარებას მიიღებენ ისრაელი და ეგვიპტე. სამხედრო პროგრამებისათვის თელ-ავივი და კაირო შესაბამისად მიიღებენ 1,8 და 1,3 მილიარდ დოლარს, ეკონომიკური პროგრამებისათვის — 1,2 მილიარდ და 815 მილიონ დოლარს.

კანონპროექტი ითვალისწინებს სალვადორისათვის სამხედრო დახმარებას 85 მილიონი დოლარის ოდენობით. 533 მილიონი დოლარი ასიგნებულია პოლონეთსა და უნგრეთში ეკონომიკური რეფორმების მხარდასაჭერად.

● იტალია

მიენიჭა „პილიგრიმის“ პრემია

ᲠᲝᲛᲘ. იტალიის ქალაქ ასიზის ხალხთა შორის მშვიდობის საერთაშორისო ცენტრმა მ. ს. გორბაჩოვს მიანიჭა 1989 წლის „მშვიდობის პილიგრიმის“ („მშვიდობის მოციქულის“) პრემია.

ეს გადაწყვეტილება ჩვენ ერთხმად მივიღეთ, თქვა საკდესის კორესპონდენტთან საუბრისას ცენტრის თავმჯდომარემ ჯან ფრანკო კოსტამ. „მშვიდობის პილიგრიმს“ ანიჭებენ ადამიანებს, რომლებიც თავიანთი მოღვაწეობით ხელს უწყობენ ქვეყნად ჰუმანიზმის, მშვიდობის, ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობის იდეალების დამკვიდრებას.

უშიშროების საბჭოში

გულისწყრომით დაბმეს ტერორისტული აქცია

ნიუ-ᲘᲝᲠᲙᲘ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ გულისწყრომა და შეშფოთება გამოთქვა ბეირუთში ლიბანის პრეზიდენტის რენე მუაკადის მოკვლის გამო. საბჭოს თავმჯდომარემ, ჩინეთის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ლი ლუემ წაიკითხა განცხადება. მასში ნათქვამია, რომ „უშიშროების საბჭოს წევრები გულისწყრომით გმობენ ამ დანაშაულებრივ ტეროორისტულ აქციას, რაც ლიბანის ერთიანობის, დემოკრატიული პროცესებისა და ეროვნული დაზავების პროცესის ხელყოფაა“.

განცხადება შეიცავს მოწოდებას მთელი ლიბანელი ხალხისადმი „გამოიჩინოს თავშეკავება, ყველა ღონე მოიხმაროს ეროვნული დაზავების გადაუდებელი ამოცანების გადაწყვეტას და ცხადყოს ერთგულება დემოკრატიული პროცესებისადმი“.

ლიბანის პრეზიდენტის მოკვლის გამო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პლენარულ სხდომაზე განცხადებით გამოვიდა გენერალური მდივანი ხავიერ პერეს დე კუელიარი. მან მოუწოდა ლიბანელებს გაერთიანდნენ, მიიღწიონ ეროვნულ დაზავებას. ანალოგიური მოწოდებით მიმართა მიუმხრობელი ქვეყნების საკოორდინაციო ბიურომ, რომლის განცხადება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინაში გავრცელეს.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲔᲢᲠᲘᲙᲔ?

ᲠᲝᲛᲘ. ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲐᲡᲘᲖᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲯᲐᲜ ᲤᲠᲐᲜᲙᲝ ᲙᲝᲡᲢᲐᲛ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲐ ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲡ ᲚᲘᲓᲔᲠᲘᲡ ᲐᲠᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲛᲘᲡᲘ ᲗᲥᲕᲐᲜᲘᲗ, ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲞᲝᲡᲢᲖᲔ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲐᲡ, ᲗᲣ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲐᲜ ᲗᲥᲕᲐ, „ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲐᲠ ᲘᲬᲘᲛᲔ ᲐᲛᲐᲡ“.

როგორც პრეს ასოციაციაში აღნიშნავს საინფორმაციო სააგენტო ანსა-ᲜᲘᲡ, ხელისუფლების სათავეში მ. ტეტჩერის ყოფნის პერიოდში კონსერვატორთაგან არავინ არ ცდილა შეცილებოდა მას ლიდერობისათვის ბრძოლაში. არსებითად კონსერვატორთა ლიდერის ყველა წინანდელი არჩევნები წმინდა ფორმალური ხასიათისა იყო.

მეიერის თქმით, იგი წარმომადგენლობს მთელ ჯგუფს კონსერვატიული პარტიის შიგნით, რომლის წევრები დარწმუნებული არიან, რომ პრემიერ-მინისტრის პოზიცია მთელ რიგ საკითხებში არ შეესაბამება დროის მოთხოვნებს.

მოკლედ

● **ᲓᲔᲚᲘ.** **შრი-ლანკის დესანტებიანი სამხედრო ვერტფრინველები, საბრძოლო ტექნიკა და უშიშროების ძალების დამატებითი კონტინგენტები გადაიყვანეს აღმოსავლეთ კალმუნაიში (აშპარის რაიონი), სადაც განახლდა გაიფთრებული შეტაკებები მთავრობის ჯარებსა და „თამილთა ეროვნული არმიის“ ტერორისტებს შორის.**

შრი-ლანკის ჯარებსა და თამილთა დაჯგუფებებს რაზმებს შორის საბრძოლო მოქმედებამ, რომელიც დაიწყო მას შემდეგ, რაც აშპარის რაიონიდან გაყვანეს შრი-ლანკაში მშვიდობის მხარდამჭერი ინდოეთის ჯარების კონტინგენტი, გამოიწვია დაძაბულობის გამწვავება კუნძულის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში.

● **ᲛᲐᲜᲘᲚᲐ.** **ხალვადორიდან მოსული ცნობების თანახმად, ცენტრალური ამერიკის ამ ქვეყნის დედაქალაქში ვითარება ნაკლებად დაძაბული გახდა.** ფარაბუნდო მარტის სახელობის ეროვნული განთავისუფლების მებრძოლებმა, რომლებიც განთიადიდან გვიან ღამამდე ინარჩუნებდნენ სამშაბათს სასტუმრო „შერატონს“ სანსალვადორში, გამოიყვანეს თავიანთი რაზმები ქალაქის ცენტრალური უბნებიდან.

ოთხშაბათის დღის პირველ ნახევარში სან-სალვადორში განახლდა საავტომობილო მოძრაობა, გაიხსნა მაღაზიები. მაგრამ ქვეყანაში კვლავ გაუქმებულია კონსტიტუციური გარანტიები, საღამოს ექვსი საათიდან დილის ექვსამდე მოქმედებს კომენდანტის საათი, რადიოთი და ტელევიზიით ნებადართულია მხოლოდ მთავრობის ცნობების გადაცემა.



ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘ

ᲙᲐᲞᲘᲢᲝᲚᲘᲣᲛᲘᲡ ბორცვი ვაშინგტონში ცნობილია ყოველი ამერიკელისათვის. აქ განლაგებულია ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესი.

ამერიკელი გეოგრაფის სმითის თქმით, ვაშინგტონის მთავარი პროდუქციაა კანონები და სამთავრობო დადგენილებები. სწორედ კაპიტოლიუმის ბორცვიდან, კონგრესიდან, განსაკუთრებული პასუხისმგებლობით წარიმართება ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო და საშინაო პოლიტიკა.

კონგრესის შენობა ამერიკის დედაქალაქის უდიდესი არქიტექტურული ანსამბლია. მას ზშირად „მსოფლიოში ყველაზე რჩეულ კლუბს“, „საქორწინო ტორტს“ უწოდებენ. მართლაც არის მასში რაღაც დიდებული და საზეიმო. მთავარი შენობა, რომლის მშენებლობაც 1793 წელს დაიწყო, შედგება მარჯვენა ფრთისაგან, სადაც განლაგებულია სენატი — ზედა პალატა და მარცხენა ფრთისაგან, რომელიც უკავია წარმომადგენელთა ანუ ქვედა პალატას.

შენობის შუაგულში არის თაჯის გუმბათიანი როტონდა და თავისუფლების ქანდაკება (მოქანდაკე ტ. კროუფორდი). კონგრესის შენობის შიდა კედლები მორთულია ფრესკებითა და სურათებით.

კონგრესის კომიტეტებს და კომისიებს სხვადასხვა დანიშნულება აქვთ. ისინი იქმნება დროებით ან მუდმივ საფუძველზე.

ნაყოფიერი საკანონმდებლო შემოქმედებისათვის კონგრესმენებისათვის შექმნილია ყველა აუცილებელი პირობა. მათ ხელთაა ელექტრონული ტექნიკა, სხვადასხვა სახის საინფორმაციო ლიტერატურა, კონსულტანტთა და ექსპერტთა აპარატი.

1800 წელს დაარსებული კონგრესის ბიბლიოთეკა უნიკალური წიგნსაცავია, სადაც ინახება ამერიკული, ევროპული, ჩინური და იაპონური ლიტერატურის იშვიათი კოლექცია.

აქვე დაცულია სხვადასხვა დასახელების ასეულათასობით გამოცემა რუსულ ენაზე.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ: ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲐ; ასეთი იყო დარბაზი, სადაც 1870 წელს მიმდინარეობდა წარმომადგენელთა პალატის სხდომა.

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲗᲕᲘᲗᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲖᲝ�გᲐᲓᲘ ᲡᲐᲬᲧᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲛᲢᲐᲜᲘᲡ ᲬᲔᲡᲘᲡ ᲗᲐᲝᲑᲐᲖᲔ

„სსრ კავშირში ადგილობრივი თვითმმართველობისა და ადგილობრივი მეურნეობის ზოგადი საწყისების შესახებ კანონის პროექტისათვის წინადადებებისა და შენიშვნების განზოგადებისათვის მუშაობის ორგანიზაციის თაობაზე“, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების შესაბამისად მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოების პრეზიდიუმებს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს დაევალათ უზრუნველყონ აღნიშნული წინადადებებისა და შენიშვნების განზოგადება.

დადგენილია, რომ განზოგადებულ მონაცემებს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობის, მმართველობისა და თვითმმართველობის განვითარების საკითხთა კომიტეტს უგზავნიან მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოების პრეზიდიუმები, ავტონომიური ოლქების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები (რუსეთის სფს რესპუბლიკაში — ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოების პრეზიდიუმები, სამხარეო და საოლქო საბჭოების, ავტონომიური ოლქებისა და ოკრუგების, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები), პრესის, რადიოსა და ტელევიზიის ცენტრალური ორგანოები.

ᲜᲔᲒᲐᲢᲘᲣᲠᲘ ᲐᲖᲠᲘ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲠᲩᲔᲑᲐ...

საქართველოს იუსტიციის მინისტრის ერთი განცხადების გამო

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ იუსტიციის მინისტრმა ვიქტორ შარაშენიძემ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესიაზე განაცხადა:

**„დღესაც სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ — 1989 წლის აპრილისათვის „კომ

ფაქტი * მოვლენა * კომენტარი

მეცნიერი მივლინებიდან დაბრუნდა

ფრანგული დღიური

ნაწილი მეორე

ბიორგი ერაძის სიკვდილის (1971 წ.) შემდეგ კვლავ დადგა საქართველოს მთავრობის არქივის დაცვის საკითხი. საფრანგეთის ქართული სათვისტომოს ერთ-ერთი მესვეურის ვიქტორ ხომერიკის სიტყვებით, „წლების ძანძილზე ის ინახებოდა საფრანგეთის ეროვნული არხივების შენობაში", მაგრამ „სამწუხაროდ, ამ დაწესებულებას არ გააჩნდა სათანადო ბიუჯეტი ჩვენი არხივის მოვლისა და დაცვისათვის დროთა განმავლობაში", ამიტომ „ბნელ საწყობში ქაღალდი ზიანდებოდა, ამას თან დაერთო საწყობში წყლის შესვლა წყალდიდობის გამო. საჭირო გახდა გამძლებნა უფრო კეთილმოწყობილი და სახსრიანი არქივთ-საცავის. კომისია დაუკავშირდა სხვადასხვა დაწესებულებებს. ყველაზე უფრო სრულყოფილი და უკანასკნელი ტექნიკით შეიარაღებული აღმოჩნდა ჰარვარდის უნივერსიტეტის წიგნსაცავი, გაიბა კავშირი მის ხელმძღვანელობასთან. მოლაპარაკებას აწარმოებდა აწ განსვენებული ეროვნული მთავრობის წევრი, ბატონი ნოე ცინცაძე. მის დაუღალავ დაკვირვებულ უბადლო ზრუნვას უნდა ვუმადლოდეთ, რომ საბოლოოდ 16 ივლისს 1974 წელს დაიდო ხელშეკრულება ჰარვარდის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან ჩვენი მოთხოვნილებების სრული მიღებით... ამ ხელშეკრულების თანახმად დამოუკიდებელ საქართველოს ეროვნული არქივი ინახება დროებით მოსავლელად და დასაცავად ჰარვარდის უნივერსიტეტის წიგნთსაცავში, მისი სრული ბატონ-პატრონია საარქივო კომისია და მისი თავმჯდომარე, რომლის ნებართვის გარეშე არქივს ვერავინ ვერ შეეხება. 30 წლის ვადის გასვლის შემდეგ (2004 წელს, გ. შ.) არქივი უბრუნდება მის ნამდვილ პატრონს — საქართველოს სამეცნიერო აკადემიას.

...1974 წელს არქივი გადატანილ იქნა ჰარვარდის უნივერსიტეტში. პროფესორმა გოგი ნაკაშიძემ ჩაატარა მისი კლასიფიკაცია, შეადგინა ინგლისურ ენაზე სრული კატალოგი არქივისა (ჩვენს ხელთ არის ამ კატალოგის ეგზემპლარი, რომელიც პარიზში ა. წ. ოქტომბერში ყოფნისას გადმოგვცა ბატონმა ვ. ხომერიკმა. გ. შ.) და მისი მეთვალყურეობით, ამერიკელმა სპეციალისტებმა გაწმინდეს და აღადგინეს დაზიანებული მოლ-მოკიდებული ყველა დოკუმენტები, აუცილებელი გზდა მათი „განკურნება" სპეციალურ ლაბორატორიებში, რამაც გამოიწვია 50.000 დოლარის ხარჯი. თანახმად ხელშეკრულებისა, ჰარვარდმა მიიღო აგრეთვე ვალდებულება გადაეღო ორმაგი ასლი მიკროფილმების სახით ყველა დოკუმენტის. ეს დაჯდა დამატებით 35.000 დოლარი და რადგან უნივერსიტეტის ფონდს აღარ გააჩნდა საყოფი თანხა, დამატებითი ხარჯი ამერიკაში მცხოვრებ ქართველობამ დიფარა. მთელი ეს მუშაობა დამთავრდა 1978 წელს აგვისტში. ჰარვარდა პირნთალად შეასრულა ყოველი მუხლი შეთანხმებისა და იმავე წელს გადმოგვგზავნა პარიზში მეორე წყება მიკროფილმებისა, რომელიც შეიცავს ამერიკაში შენახულ არქივის მთელ დოკუმენტებს. ეს მიკროფილმები ინახებოდა წლების განმავლობაში პარიზული ბანკის ორ დიდ სეიფში, თავმჯდომარის პირად ხარჯზედ, სანამ ის არ იქნა მოთავსებული პარიზის უნივერსიტეტის წიგნთსაცავში.

მიკროფილმები მეტად სათუთია, მისი უვნებლათ შენახვა მოითხოვს მუდამ მყარ განსაკუთრებულ ტემპერატურას, მის წასაკითხავათ და გასაშუქებლათ საჭიროა სპეციალური ძვირფასი აპარატები... ჩვენდა სამბედნიეროდ, დიდი ძიებისა და მოლაპარაკების შემდეგ, პარიზის უნივერსიტეტის საერთაშორისო თანამედროვე დოკუმენტაციის ბიბლიოტეკამ თანხმობა მოგვცა და ჩაიბარა შესანახათ ჩვენი მიკროფილმები (1986 წლის 16 მაისს — გ. შ.)

ამრიგათ, მოგვარებულ იქნა რა ეროვნული არხიის უზრუნველყოფა დაზიანებისაგან, როგორც ჰარვარდში, ისე პარიზში შესაძლებელია მკვლევარებისათვის ამ არხივის გაცნობა და შესწავლა წინასწარ თხოვნის შეტანით საარქივო კომისიაში" (იხ. ვიქტორ ხომერიკი, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის არქივი, ჟურნ. „ჩვენი დროშა", პარიზი, 1987, თებერვალი, № 110, გვ. 90-93; ვ. ხომერიკის ამ წერილით ძლიერ არის დავალებული ელ. მეტრეველის სტატია: რა ბედი ეწია არქივს? „კომუნისტი", 9. XII. 1987).

საკითხის არსის მეტი სიცხადისა და სიზუსტისათვის საჭიროა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ 1974 წელს ჰარვარდში პარიზიდან საქართველოს მთავრობის არქივი მთლიანად კი არ გადაუტანიათ, არამედ მხოლოდ ნაწილი და ისიც სარეპატრაციოდ და არა გასაყიდად, როგორც ამას ა. ავალიანი წერდა (იხ. მისი სტატია „ყიდება ისტორია", „კომუნისტი", 15. III. 1987), რამაც ჩვენი საზღვარგარეთელი თანამემამულეების დიდი გულისტკივილი და სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია.

ჰარვარდის უნივერსიტეტთან ხელშეკრულების დასადებად 1974 წელს პ. სარჯველაძისა და მ. ბერიშვილის მიერ ხელმოწერილი მანდატით არქივს გააყოლეს ნოე ცინცაძე, რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობაში გახათლების საქმეს უძღვებოდა. არქივის ჰარვარდული ნაწილის სამეთვალყურეოდ, ნოე ცინცაძის ინიციატივით, 1978 წლის 6 ივლისს შეიქმნა ახალი საარქივო კომისია, რომელშიც შევიდნენ აშშ-სა და საფრანგეთში მცხოვრები ქართველი მოღვაწეები: ● ვიქტორ ხომერიკი, გიგი ხალდასტანიშვილი, გივი გაბლიანი, მამია ბერიშვილი, გიორგი ნაკაშიძე, ისიდორე გაეთნია, კარლო ინასარიძე (ეს უკანასკნელი მიუნხენში ცხოვრობს). თვითონ ნოე ცინცაძე ამის შემდეგ მალე გარდაიცვალა. მართალია, ამ ახალი კომისიის შექმნამ ბევრი ახალი ორგანიზაციული სიძნელე წარმოშვა კომისიის წევრთა ფიზიკური ადგილსამყოფელის და უფლება-მოვალეობების განაწილების მხრივ (შდრ. ჟურნ. „მებრძოლი საქართველო", პარიზი, 1987, თებერვალი, № 2 (20), გვ. 50-52; „მებრძოლი საქართველო", პარიზი, 1987, მაისი, № 3 (21), გვ. 34-39, „მებრძოლი საქართველო", პარიზი, 1988, მაისი № 5 (23) გვ. 35-38), მაგრამ მთავარი ის არის, რომ დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის არქივის შემნახველი როგორც ძველი სამთავრობო კომისიის, ისე ახალი (ჰარვარდის) კომისიის წევრები ნამდვილი ქართველი პატრიოტები და მამულშვილები არიან, რომლებიც მზად არიან დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის არქივის ჰარვარდული და პარიზული ნაწილები გააერთიანონ და დედან-დოკუმენტები მთლიანად მის ნამდვილ პატრონს — საქართველოს გადმოსცენ. წინასწარვე ვიტყვი, რომ მე ეს პარიზში ყოფნისას პირადად არაერთხელ განმიცხადეს და დამიდასტურეს მამია ბერიშვილმა, ვიქტორ ხომერიკმა, ლევან ფაღავამ, გივი ზალდასტანიშვილმა და კარლო ინასარიძემ. ოღონდ ახლა საჭიროა მათთან მუდმივი თანამშრომლობა და ერთობლივი მუშაობა ამ საქმის ბოლომდე მისაყვანად და ეროვნული არქივის დედნების მთლიანად საქართველოში წამოსაღებად (რაც შეეხება ჰარვარდული ნაწილის მიკროფილმებს, ისინი უკვე 1988 წლის აგვისტოდან თბილისშია ჩამოტანილი და ამჟამად საქართველოს საისტორიო არქივში ინახება, მაგრამ, სამწუხაროდ, მთავარი საარქივო სამმართველო დღემდე ფაქტობრივად არაფერს აკეთებს მის ფოტოპირებზე გადასაღებად, რათა იგი ხელმისაწვდომი გახდეს სპეციალისტებისათვის).

...ახლა კვლავ გაწყვეტილ თხრობას დაუბრუნდეთ.

მამია ბერიშვილის გარდა, ლევილის მამულში ცხოვრობენ ლიდა და გიორგი ნოზაძეები, ჯაბა ხაბულიანი, ნიკო უოუშაძე, პავლე ვაშაძე, რუბენ გვეტაძე, სიმონ კვაელიძე, დედა-შვილი დათიაშვილები, აგრეთვე, აწ განსვენებულ ქართველთა ფრანგი მეუღლეები — ქალბატონი ბოკუჩავა და ქალბატონი ტიტვინიძე. მამულის გალავნის გარეთ ლევილში საკუთარი სახლები აქვთ კოლია სარალიძესა და შოთა ბერეჟიანს. ამათ გარდა, ზოგიერთი ქართველი, მარსელია, პარიზში ცხოვრობს, მაგრამ ლევილს ქართულ მამულშიც აქვს სადგომი. ესენი არიან ჟურნალ „გუშაგის" რედაქტორი გიორგი წერეთელი, ნოე ჟორდანიასა და ნოე რამიშვილის ასულები — ნაიელა ჟორდანია და ნუცა რამიშვილი, შალვა თაყაიშვილი, პროფესორი გიორგი შარაშიძე, ნოე ჟორდანიას სიძე ლევან ფაღავა, ნუცა და ორესტ გორდელაძეები, აგრეთვე განსვენებულ ილია მელიას მეუღლე, რომელიც ჩემს იქ ყოფნაში პარიზიდან არ ჩამოსულა და ამიტომ პირადად ვერ გავიცანი...

შატოში პირველი სართულის დიდი დარბაზი უჭირავს სალონს, რომლის კედლებს ამშვენებს ცნობილი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწეების — ნოე ჟორდანიას, ეგნატე გეგეჭკორის, ნოე რამიშვილის, კონსტანტინე კანდელაკის, კარლო ჩხეიძის, ირაკლი წერეთლის, აკაკი ჩხენკელის, იოსებ ელგუჯაშვილის, სიმონ მდივნის, ვლასა მგელაძისა და სხვათა პორტრეტები. მათ გვერდით ვხედავთ საქართველოს პარლამენტის სხდომის ფოტოსურათს (თავჯდომარეობს ალექსანდრე ლომათიძე). აქვეა წარმოდგენილი 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტის დედანი... ამ სალონში ეწყობა ქართველთა სადღესასწაულო შეკრებები, საქმიანი შეხვედრები, სხდომები... სწორედ ამ სალონში ნახეს ერთობლივად ლევილის ქართველებმა და მეც პარიზის ტელევიზიის საგანგებო გადმოცემა 9 აპრილს თბილისში დატრიალებული ტრაგედიის შესახებ.

რამდენიმე სიტყვა აქ მცხოვრებ ქართველებზე:

გიორგი და ლიდა ნოზაძეები ცნობილი რუსთველოლოგის ვიქტორ ნოზაძის უმცროსი ძმა და რძალია. ორივე მხნედ და ღამაზად გამოიყურება, მიუღიათ ამას წინათ გაზეთ „თბილისში" გამოქვეყნებული ჩემი სტატია ბაოს მოღვაწეობაზე, ძლიერ გახარებიათ, ქსეროქსთან გაუმრავლებიათ და აქაური ქართველებისთვის დაურიგებიათ. ქ-ნი ლიდა ხუმრობს, გიორგიმ თქვა, ამდენი თუ მქონდა გაკეთებული, აღარც კი მახსოვდაო. ბ-ნი გიორგი ნოზაძე ქართული ხელოვნების მოყვარული და გულშემატკივარი ბრძანდება. გამოქვეყნებული აქვს წერილები ქართულ ხელოვნებაზე. ცხოვრების გრძელ და საინტერესო გზაზე მათ გამოჩენილ ქართველ მხატვართა (ლადო გუდიაშვილი, დავით კაკაბაძე, ფილიქა ვარლამიშვილი, ვერა ფაღავა, ვანო ენუქიძე) ნაბუშევრების ფვირფასი კოლექცია შეუგროვებიათ. საქართველოში წამოსაღებად მათ გადმომცეს ანდერძი, რომელშიც ვკითხულობთ: „ჩვენ ქვემორე ამის ხელმომწერნი ლიდა შარაშიძენოზაძისა და გიორგი ნოზაძე, მცხოვრებნი ლევილის ქართულ მამულში, ვტოვებთ შემდეგი ნაიარსის ანდერძს: ჩვენი გარდაცვალების შემდეგ ჩვენ ბინაზე არსებული მხატვრული სურათები, სახელდობრ, ლ. გუდიაშვილის „კინტოების ქეიფი", დ. კაკაბაძის აბსტრაქტული სურათი, ფილიქს ვარლამიშვილის დახატული 4 ფერადი სურათი, ვერა ფაღავას ორი ნახატი, ვ. ენუქიძის აბსტრაქტული სურათი **გადაეცეს თბილისის ქართულ მუზეუმს".**

დიდი ღვაწლი და ამაგი დასდეს ლიდა და გიორგი ნოზაძეებმა სახელოვან მეცნიერსა და პოლიტიკურ მოღვაწეს ვიქტორ ნოზაძეს. ისინი მორალურად და ფინანსურად ეხმარებოდნენ ვ. ნოზაძეს სამეცნიერო მუშაობასა და ნაშრომების გამოქვეყნებაში. ცხადია, დიდი იყო ჩემი ინტერესი ვიქტორ ნოზაძის არქივისადმი. გულუხვნი გამოდგნენ ჩემი მასპინძლები: მათ ერთბაშად გადმომცეს ვიქტორ ნოზაძის პირადი არქივის მათთან დარჩენილი ნაწილი (ხელნაწერი შრომები, სხვადასხვა ავტორთა ლექსების ავტოგრაფები, პირადი წერილები, ჟურნალი, რომის პაპის, გრ. რობაქიძის, კალ. სალიას, გ. გამყრელიძის და სხვათა), ვიქტორისეული ბიბლიოთეკის რამდენიმე წიგნი (მათ შორის ვეფხისტყაოსნის 1957 წლის გამოცემა, რომელსაც ახლავს ვ. ნოზაძის ხელით ფანქრით მიწერილი შესწორებანი, რომლებიც უდავოდ საინტერესო უნდა იყოს რუსთაველის პოემის ტექსტის მეცნიერულად დამდგენთათვის), საოჯახო ალბომის ფოტოსურათები, ვიქტორისეული სტამბის შრიფტისა და კლიშეების ნიმუშები, აგრეთვე, ვიქტორ ნოზაძის მემორიალური ნივთები: სათვალეები, სწერკალამი, ჩიბუხი, ქარვის მუხლშტუკი, საფული — პორტმონე, გამადიდებელი შუშა (ლუპა), კალკულატორი... ყველაფერი ეს ვიქტორისეულ ძველ ჩემოდანში ჩამიწყვეს და საქართველოში გამომატანეს. მაგრამ ლევილში დარჩა ვ. ნოზაძის პირადი ბიბლიოთეკის კუთვნილი ბევრი წიგნი, რომლებიც ინახება შატოს სხვენზე და წიგნთსაცავში. ამას გარდა, რაც მთავარია, ვიქტორ ნოზაძის არქივის დიდი ნაწილი დაცულია ახლახან (1986 წ.) გარდაცვლილი პოეტ გიორგი ყიფიანის ბინაში, რომელიც აქვე, შატოს მანსარდაშია და ამჟამად დალუქულია. ალბათ, მიზეზს იკითხავს მკითხველი: რა უნდოდა ვ. ნოზაძის არქივს პოეტ გიორგი ყიფიანის ბინაში, როცა აქვე მისი ძმა და რძალი ცხოვრობენ და რატომ არის ამჟამად დალუქული?

საქმე ის გახლავთ, რომ ვიქტორ ნოზაძის გარდაცვალების (1975 წ.) შემდეგ მისი ჟურნალის „კავკასიონის" გამოცემის გაგრძელება იკისრა პოეტმა გიორგი ყიფიანმა და გამოსცა კიდეც „კავკასიონის" XVIII (პარიზი, 1976), XIX (პარიზი, 1978), XX (პარიზი, 1981) და XXI (პარიზი, 1986) ნომრები, რომლებშიც სხვა მასალებთან ერთად აქვეყნებდა მასალებს ვიქტორ ნოზაძის არქივიდან. ამიტომაც ინახებოდა მასთან ვიქტორისეული არქივი. 1986 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა გიორგი ყიფიანი, ოჯახურ პრობლემებთან დაკავშირებით მისი ბინა დღემდე დალუქულია და სანამ სასამართლო საქმეს არ გადაწყვეტს, შეუძლებელი ხდება ბინაში შესვლა, სადაც თვით გ. ყიფიანის საინტერესო არქივთან ერთად ჩარჩა ვიქტორ ნოზაძის არქივიც. ამიტომ ბ-ნმა გიორგი ნოზაძემ მომცა ნოტარიული წესით დამოწმებული ასეთი შინაარსის დოკუმენტი:

„პარიზი — ლევილი
30 სექტემბერი 1989 წ.
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას!

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას!

ჩემს უფროს ძმას — ვიქტორ ნოზაძეს, რუსთველოლოგს, დარჩა არქივი, რომლის ჩემთან დარჩენილ ერთ ნაწილს ვატანს საქართველოში პროფ. გურამ შარაძეს, რომელიც ამჟამად თქვენი მივლინებით აქ იმყოფება. არქივის დარჩენილი ნაწილი ინახება აწ განსვენებულ პოეტის გიორგი ყიფიანის ბინაზე, რომელიც ჯერჯერობით დალუქულია და როგორც ვფიქრობ ამ რამდენიმე თვეში გაიხსნება და გადაეცემა ბატონ გურამ შარაძეს საქართველოში წამოსაღებათ. მასვე ვანდობ მისი შრომების გამოცემას.

პატივისცემით გიორგი ნოზაძე".

ბ-ნმა გიორგი ნოზაძემ არც თავისი პირადი არქივი დაიშურა და გადმომცა თავისი რამდენიმე საინტერესო ხელნაწერი შრომა, მათ შორის, „ათონის მთაზე მოგზაურობის დღიური" და მის მიერ გადაღებული ფერადი დიაპოზიტივები, „დავით გურამიშვილი და მისი დრო", საკუთარი ლექსები, როგორც ხელნაწერი, ისე დაბეჭდილი მიხეილ ჩუბინიძის სახელით, ინტერვიუ დავით კაკაბაძეზე და სხვა. მაინც ცალკე უნდა აღვნიშნო მის მიერ მოძღვნილი დოკუმენტების დასტა ჩვენს სახელოვან მხატვარ დავით კაკაბაძის შესახებ. მათ შორის საგანგებოდ გამოვყოფ მიუნხენის რადიოს მიერ 1973 წლის 12 იანვარს გადაცემულ სუბრის ტექსტს „მხატვარ დავით კაკაბაძის ბედი", ერთ-ერთ რუსულ ემიგრანტულ გაზეთში გამოქვეყნებულ სტატიას „ქვრივი იცავს კაკაბაძის შემოქმედებას", რომელშიც დ. კაკაბაძე შედარებულია ბრაკთან და კანდინსკისთან, აგრეთვე გაზეთ „ნიუ-იორკის ტაიმსისა" და „ინტერნეშნლ ჰერალდ ტრიბუნის" კორესპონდენტის ჰედრიკ სმითის მიერ ამავე გაზეთის 1972 წლის 28 ნოემბრის ნომერში დაბეჭდილ წერილს, სადაც მოთავსებულია რეპროდუქციაც დავით კაკაბაძის ერთი აბსტრაქტული სურათისა სახელწოდებით „აბსტრაქტული ფორმა ყვავილის ბაღისა", რომელიც იელის უნივერსიტეტის სამხატვრო გალერეას ეკუთვნის. აქვე მოვიყვანთ რამდენიმე ადგილს ჰედრიკ სმითის წერილიდან:

„თუ ვინმე უცხოელი ჩამოვა თბილისს, პირველ რიგში უნდა ნახოს დავით კაკაბაძის უკვდავი ტილოები. ჯერ კიდევ 1920 წელს დავით კაკაბაძე მსწრაფლ გამოჩნდა პარიზის მხატვრებს შორის. მისი ტილოები 1926 წელს უკვე წარმოდგენილი იყო ნიუ-იორკის გამოფენაზე. მისი ნიჭის აღიარება მოხდა ელვისებური სისწრაფით. რამ გამოიწვია დავით კაკაბაძის ნიჭის აფეთქება, მაშინ როდესაც მალევიჩისა და კანდინსკის ტილოები მოფენილი იყო პარიზისა და სხვა დიდი ქალაქების გამოფენებზე. დავით კაკაბაძეს გააჩნდა განსაკუთრებული ნიჭი ფერების შერწყმისა, მისთვის არ არსებობდა პრიმიტიული ჩარჩოები დაკნინებული ხელოვნებისა. მისთვის ხელოვნება იყო თავისუფალი და ლაღი. ჯერ კიდევ მაშინ, 1926 წელს ქალბატონმა კატრინა დრეიერმა შეიძინა დავით კაკაბაძის რამდენიმე ტილო და მრავალი მათგანი საჩუქრად უბოძა ამერიკის მუზეუმებს, რომლებიც დღესაც აშშვენებს იელის სახვითი ხელოვნების მუზეუმს. ქალბატონ კატრინ დრეიერის საშუალებით ამერიკელმა საზოგადოებამ გაიცნო დავით კაკაბაძის ღრმად თვმამბეჭდავი შემოქმედება... დავით კაკაბაძის ეს სურათები გამოფენილ იქნა 1926 წელს ნიუ-იორკში „მოდერნული მხატვრობის" გამოფენაზე, შემდეგ დავით კაკაბაძის ეს ტილოები იყო გამოფენილი იელის უნივერსიტეტის სამხატვრო გალერეაში და რამდენიმე მათგანი ნაჩვენები იქნა გამოფენაზე 1969 წელს — „XX საუკუნის მხატვრები", რომელიც მოწყობილ იქნა ნიუ-იორკში ცნობილ „მოდერნული ხელოვნების მეტროპოლიტენის მუზეუმში".

დავით კაკაბაძე ოციან წლებში დაბარუნდა საქართველოში, მაგრამ ვერ შეურიგდა საბჭოთა კავშირში და ამით საქართველოშიც არსებული „სოციალისტური რეალიზმის" დოგმებს და როგორც მისი ქვრივი ეფერ კაკაბაძე აცხადებს „მისთვის უკვე შეუძლებელი გახდა აბსტრაქტული ჟანრის მხატვრობის შექმნა და მას სახლშიც არ სურდა ასეთი ხატვა...

ამიტომ მან შექმნა გაცილებით უფრო ნაკლები რაოდენობის ტილოები 23 წლის განმავლობაში საქართველოში, ვიდრე შექმნა ერთი წლის განმავლობაში პარიზში".

...დავით კაკაბაძე იყო პროფესორი თბილისის სამხატვრო აკადემიაში.. იგი 1948 წელს მოუხსნიათ სამუშაოდან და ვინაიდან მას ამ დღიდან არც ხელფასი და არც პენსია არა ჰქონია, არჩენდა მას თურმე მისი მეუღლე, რომელიც ასწავლიდა სამხატვრო აკადემიაში და დღესაც ასწავლის ლითოგრაფას. 1951 წელს კი დავით კაკაბაძე გარდაცვლილა"...

განზრახული მაქვს ეს დოკუმენტები გადავცე დავთ კაკაბაძის სახლ-მუზეუმს, რომელსაც მისი მეუღლე ქ-ნი ეთერ ანდრონიკაშვილი-კაკაბაძისა განაგებს.

გურამ შარაძე.

სურათებზე: ლიდა და გიორგი ნოზაძეები; გ. ერაძის 1969 წლის 22 ოქტომბრის წერილი ანდრე შამხონისადმი ქართული არქივის კომისიის შემადგენლობის შესახებ; ვიქტორ ნოზაძის ქართული სტამბის შენობა ლევილში.

ავტორის ფოტო.

Georges ERADZE
10, rue Jules Ferry
91 - LEUVILLE SUR ORGE

Château de Leuville

Leuville sur Orge, le 22 Octobre 1969

Monsieur André CHAMSON
de l'Académie Française
Directeur Général des
Archives de France
Direction des Archives

S.T. 4745

Monsieur le Directeur,

J'ai bien reçu votre lettre du 27 Juillet dernier et je vous peie de bien vouloir m'excuser de ne y avoir répondu plus rapidement pour cause de maladie.

Donc pour répondre à votre demande j'ai l'honneur de vous informer que par suite du décès de Messieurs KANDELAKI Constantin et TCHENKELI Akaki, dépositaires des archives du Gouvernement de Géorgie, le 17 Avril 1959 nous avons désigné pour les remplacer et leur succéder, comme dépositaires des dites Archives;Messieurs PAGAVA Léon, 3, rue Adolphe Chérioux à Issy les Moulineaux et SARDJVELADZE Paul, 19, rue D'Odessa à Paris 14e.

Aujourd'hui nous vous présentons une nouvelle liste complète des membres du comité dépositaires des Archives du Gouvernement de Géorgie, composée de Messieurs :

ERADZE Georges - 10, rue Jules Ferry à LEUVILLE SUR ORGE (91)
TSINTSADZE Niné - 288, rue de Vaugirard à PARIS (15e)
ASSATIANY Sossipatre - 8, rue Ad. Focillon à PARIS (14e)
PAGAVA Léon - 3, rue A. Chérioux à ISSY LES MOULINEAUX (92)
SARDJVELADZE Paul-19,Rue d'Odessa à PARIS (14e)
TCHOUBINIDZE Valérien - 241, rue de la Croix Nivert à PARIS (15e)
BERICHVILI Mamia - 16 bis, rue Jules Ferry à LEUVILE sur ORGE (91)
LOMADZE Georges - 4, rue Hip. Boulogne à SCEAUX (92).

Avec nos excuses renouvelées pour le retard apporté à notre réponse, nous vous prions d'agréer, Monsieur le Directeur, l'assurance de nos sentiments très distingués.

G.ERADZE.

g. Eradzé

ქართული ჭიდაობა

ღია ჩემპიონატის მოლოდინში

ამ ცოტა ხნის წინ, აბა, ვინ იფიქრებდა, რომ ქართულ ჭიდაობაში საერთაშორისო შეჯიბრების მოწმენი გავხდებოდით. ჩვენი ეროვნული სპორტის საერთაშორისო სარბიელზე გატანის არაერთ ცდას ნლების მანძილზე შედეგი არ მოჰყოლია. ქართული ჭიდაობის ოფიციალურ აღიარებამდე ჯერ კიდევ შორი გზაა გასავლელი. მაგრამ ამ გზაზე პირველი სერიოზული ნაბიჯი გადაიდგა: 25-26 ნოემბერს თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართება საქართველოს ღია ჩემპიონატი. უთუოდ საგულისხმო ფაქტია, რომელიც ქართული ჭიდაობით, როგორც ორთაბრძოლის ორიგინალური სახეობით საბჭოთა და საზღვარგარეთელი ფალავანთა დაინტერესებას ადასტურებს, ამასთან, ჭიდაობის ქართული სკოლის სახელოვან წარმომადგენელთა დიდ ავტორიტეტზეც მეტყველებს. ჩვენი მოჭიდავეების გახმაურებული გამარჯვებები დიდი ხანია სპორტული სამყაროს ყურადღებას იპყრობს. ძიუდოისტთა და თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა თბილისის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირების საზღვარგარეთელი სტუმრები, მწვრთნელ-სპეციალისტები არაერთხელ დასწრებიან ნახერხმოყრილ სარბიელზე გამართულ ასპარეზობებს. იაპონელებმა თავის დროზე ფირზე აღბეჭდეს ქართული ჭიდაობა და ტოკიოში ამას წინათ ქართული ჭიდაობის სექციაც ჩამოაყალიბეს. ერთი სიტყვით, რესპუბლიკის ღია ჩემპიონატის მოწყობის იდეა ცარიელ ადგილას არ აღმოცენებულა.

— როცა ასეთი ტურნირის გამართვა გადაწყდა, ჩამოყალიბდა საორგანიზაციო კომიტეტი, გაჩაღდა პროპაგანდისტული საქმიანობა, — გვიამბობს საქართველოს სპორტსახკომის ჭიდაობის სამმართველოს უფროსი ომზარ შოშიტაშვილი, — მოჭიდავეთა დიდ შეჯიბრებათა მასპინძლობის გამოცდილება არ გვაკლია, მაგრამ ამჯერად განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას ვგრძნობთ. საქმე ეხება ეროვნული სპორტის, ქართული ჭიდაობის პრესტიჟს, და ჩვენი სურვილია პირველი ღია ჩემპიონატი უმაღლეს მოთხოვნებს აკმაყოფილებდეს. საორგანიზაციო კომიტეტს მხარში ამოუდგა რესპუბლიკის ხელმძღვანელობა, სხვადასხვა დაწესებულებები, ტურნირს სპონსორობას უწევენ თბილისის სანარმოო გაერთიანება „თეთრონი" და შულავერის მატყლის პირველადი გადამუშავების ფაბრიკა... სამ ენაზე ითარგმნა ქართული ჭიდაობის წესები, მზადდება მრავალფეროვანი ატრიბუტიკა, ფოტოგამოფენა. როგორც იცით, ძიუდოისტთა მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში ქართული ჭიდაობის ღია პირველობაში მონაწილეობის თაობაზე მოლაპარაკება გვქონდა მსოფლიოს ბევრი ქვეყნის მოჭიდავეებთან. არა-ერთმა ცნობილმა ფალავანმა გამოთქვა თბილისში ჩამოსვლის სურვილი, თუმცა ჯერჯერობით ზუსტად ვერ გეტყვით, რამდენი უცხოელი სტუმარი გვეყოლება. განაცხადები მივიღეთ იაპონიის, ბელგიის, თურქეთის, ისრაელის მოჭიდავეებისაგან. თბილისში გამოვლენ აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების (ლიტვა, ესტონეთი, ბელორუსია, სომხეთი, უზბეკეთი, თურქმენეთი) სპორტსმენები. ჩვენი რესპუბლიკიდან მოჭიდავეთა საკმაოდ მოზრდილი ჯგუფი იასპარეზებს, მათ შორის ჯემალ მჭედლიშვილი, მალხაზ ბერუაშვილი, აკაკი კიბორძალიძე, ანზორ თენაძე და სხვა ცნობილი ფალავნები.

მკითხველისათვის ალბათ საინტერესო იქნება, თუ რა სისტემით გაიმართება შეჯიბრება. პირველ ეტაპზე მონაწილენი გაერთიანდებიან ოთხ წონიოს (80, 90, 100 და 100 კილოგრამს ზევით) კატეგორიაში, აქ გამარჯვებულნი კი აბსოლუტური ჩემპიონის ტიტულისათვის იბრძოლებენ. შეჯიბრებას მოემსახურებიან ყველაზე კვალიფიციური მსაჯები. მოკლედ, იმედი გვაქვს, რომ საქართველოს პირველი ღია ჩემპიონატი გაამართლებს თავის დანინულებას, კიდევ უფრო გაზრდის ქართული ჭიდაობისადმი ინტერესსა და ავტორიტეტს... ბოლოს გულშემატკივრებს ვაცნობებთ, რომ ასპარეზობა ორივე დღეს დილის 12 საათზე დაიწყება.

ელგუჯა ვახანია.



სპორტის ამბები

ფეხბურთი

უეფას ტურნირზე

ბაკულ ოთხშაბათს გაიმართა უეფა-ს თასის გათამაშების მერვედფინალური მატჩები. კიევის დინამოელები იტალიაში ეწეხვნენ ცნობილ საკლუბო გუნდს „ფიორენტინას". ანგარიშით 1:0 გაიმარჯვეს იტალიელებმა. 78-ე წუთზე გოლი პენალტით გაიტანა ბაჯიომ. მასპინძლებმა მანამდეც არაერთი სახიფათო მომენტი შექმნეს, მაგრამ სამეოდოდ თამაშობდა კიეველთა მეკარე ჩანოვი. 35-ე წუთზე უხეშობისთვის მოედნიდან გააძევეს იარემჩუკი, რამაც „ცხადია, „დინამო" რთულ ვითარებაში ჩააყენა. საფიქრებელია, რომ უკრაინელი ფეხბურთელები შინ უფრო ძლიერად ითამაშებენ და სასურველ საბოლოო შედეგსაც მიაღწევენ.

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია იტალიის „ნაპოლისა" და დასავლეთ გერმანიის „ვერდერის" შეხვედრამ. პირველ ტაიმში „ვერდერი" ფლობდა უპირატესობას: ჯერ ნოიბერტმა გამოიხიხა თავი, 45-ე წუთზე კი რიდლმა მეორე გოლი გაიტანა მასპინძლეთა კარში. შესვენების შემდეგ ალემანმ და კარეკამ აღადგინეს წონასწორობა, მაგრამ საფინალო სასტვენამდე ერთი წუთით ადრე „ვერდერის" თავდამსხმელმა, ახალზელანდიელმა რუფერმა გამარჯვება სტუმრებს მოუტანა. უნდა ითქვას, რომ სუსტად ითამაშა „ნაპოლის" ლიდერმა მარადონამ, რომელმაც ამ შეხვედრის წინ ზურგი იტკინა და ექიმებმა ბოლო მომენტში დართეს მოედანზე გამოსვლის ნება.

ამ დღეს იტალიაში უეფას თასის კიდევ ერთი მატჩი გაიმართა: „იუვენტუსმა" გდრ-ს „კარლ-მარქს-შტადტს" უმასპინძლა და მოკრძალებული შედეგით გაიმარჯვა — 2:1. მერვედფინალის სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: ბელგიის „ანტვერპენი"-გფრ-ს „შტუტგარტი" — 1:0, გფრ-ს „ჰამბურგი"-პორტუგალიის „პორტო" — 1:0, საბერძნეთის „ოლიმპიაკოსი" — საფრანგეთის „ოსერი" — 1:1, ავსტრიის „რაპიდი"-ბელგიის „ლიეჟი" — 1:0, იუგოსლავიის „ცრვენა ზვეზდა"-გფრ-ს „კელნი" — 2:0.

● განმეორებითი მერვედფინალური მატჩები 6 დეკემბერს გაიმართება.

უნივერსიტეტში აღდგება ეკლესია

გუშინ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II გადაიხადა სადღესასწაულო პარაკლისი და სიონის ტაძრიდან მოეწყო მსვლელობა. მსვლელობის მონაწილეებმა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გადმოასვენეს პატრიარქის მიერ ნაკურთხი წმინდა გიორგის ხატი, აგრეთვე ჯვარი და კანკელი. ქსენოფონტის მონასტრის წინამძღვრის მიერ ნაბოძები ეს ხატი ამ ორიოდე წლის წინათ ათონის მთიდან ჩამოსულმა ბერებმა გადასცეს ქართულ ეკლესიას, ამიერიდან კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიდებს ბინას.

საქმე ის გახლავთ, რომ უნივერსიტეტში მისი დაარსების დღიდან 1926 წლამდე მოქმედებდა წმინდა გიორგის სახელზე ნაკურთხი ეკლესია. უნივერსიტეტის რექტორატის გადაწყვეტილებით, უნდა აღდგეს მისი სახე. აქციის ინიციატორია საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიული ახალგაზრდული ასოციაცია, რომელსაც მხარ